# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 201 (221) ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი


საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

ო. გ. ჯაფარიძის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ოთარ გიორგის ძე ჯაფარიძე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

რ. ვ. მეტრეველის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს როინ ვ. მეტრეველი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

ზ. გ. ასათიანის ქ. თბილისის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ზ. გ. ასათიანი ქ. თბილისის პრეფექტის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

მ. ი. ჭეიშვილის ქ. თბილისის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მ. ი. ჭეიშვილი ქ. თბილისის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 15 ოქტომბერი.

## საკუთარ სახლში

# კავკასიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების" ოცდაათი ტომი და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჩვიდმეტი წელიწდეული — ასეთია არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომების არასრული ნუსხა ორმოცდაათი წლის მანძილზე. თავის იუბილეს დაუკავშირა ინსტიტუტმა კავკასიოლოგთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც 15 ოქტომბერს გაიხსნა თბილისში.

— ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობის მთავარი შედეგი ის არის,— თქვა სიმპოზიუმის გახსნისას მისმა დირექტორმა ბ. ჯორბენაძემ,— რომ მონოგრაფიულად გამოკვლეულია ყველა იბერიულ-კავკასიური ენა, შემუშავებულია ენის თეორიის შესწავლის თემატიკა, გამოქვეყნებულია ფუნდამენტური შრომები ენათმეცნიერების ისტორიის საკითხებზე. ცნობილია, რომ ენათმეცნიერების სათავეებთან იდგნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე, ამ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველოლოგებმა დ. ჩუბინაშვილმა და ნ. მარმა. ინსტიტუტის შექმნაში, მის როგორც ენათმეცნიერთა სამჭედლოს ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ს. ჯანაშიამ, ვ. თოფურიამ, ა. ჩიქობავამ. ქართული ენათმეცნიერების აღიარებული პატრიარქია ამჟამად აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე.

ბ. ჯორბენაძემ სიმპოზიუმის მონაწილეებს გააცნო ინსტიტუტის ისტორია, პრობლემები, რომლებზეც მეცნიერები მუშაობენ და აღნიშნა, რომ კოლექტივის წარმატებები მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა საზღვარგარეთის ქვეყნების კავკასიოლოგებთან ერთობლივი მუშაობის წყალობით. შემთხვევითი არ არის, რომ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობენ ინგლისის, გერმანიის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა აკადემიკოსმდივანმა ლ. გაბუნიამ. ქართველ და გერმანელ მეცნიერთა ერთობლივ ნაშრომებზე ილაპარაკა ბონელმა მეცნიერმა კ. შმიდტმა. ინსტიტუტის ყოფილმა თანამშრომელმა კ. ლერნერმა ჩამოიტანა ისრაელი კოლეგების, ხოლო პროფესორმა ჯ. კოკომ — ნალჩიკელ მეცნიერთა მისალმება. აკადემიკოსმა კ. წერეთელმა გაიხსენა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მუშაობის პირველი წლები.

სიმპოზიუმის მონაწილეებმა ყვავილებით შეამკეს ცნობილი ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას საფლავი, რომლის სახელსაც ატარებს დღეს ინსტიტუტი.

შემდეგ დაიწყო პლენარული სხდომები. სიმპოზიუმი ხუთ დღეს იმუშავებს.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

საქინფორმი.

# პური შეუზღუდავად

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, სატყეო მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილემ, მარცვლეულისა და პურპროდუქტების წარმოებას გაერთიანების უფროსმა ვურამ ჩოკორაიამ ვთხოვეთ განემარტა ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოს მოსახლეობას შეუძლია პურის შეძენა მხოლოდ სპეციალური ბარათებით.

ეს დეზინფორმაციაა, — თქვა მან. არავითარი ბარათები არ არსებობს, მხოლოდ ცალკეულ სოფლის რეგიონებში გაიზარდა პურის რეალიზაცია იმის გამო, რომ მას არადანიშნულებისამებრ (პირუტყვის საკვებად) იყენებენ. ამიტომ ადგილობრივმა ხელისუფლებმა სავაჭრო ორგანიზაციებთან ერთად შემოიღეს ერთგვარი შეზღუდვები.

რაც შეეხება საწარმოო საკითხებს, მარტო სექტემბერში სახელმწიფო პურის საცხობებმა გამოუშვეს შვიდი ათასი ტონით მეტი პური, ვიდრე გასული წლის იმავე თვეში. სულ კი ცხრა თვეში გამოცხვა შარშანდელზე 41 ათასი ტონით მეტი. პურის წარმოების ასეთივე ზრდა აღინიშნა ცეკავშირის სისტემაში. პურის ცხობის გადიდება იმით აიხსნება, რომ მკვეთრად გაიზარდა პურის მოხმარება. იმის გამო, რომ ფქვილი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე გამომცხვარი პური, პურის ქარხნებს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დამატებით ეძლევათ დაახლოებით 400 მილიონი მანეთი წლის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს ყველა პურის საცხობი საწარმოს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ პური 2-3-ჯერ უფრო ძვირი ღირს, ამიტომ ხშირია შემთხვევები, როცა პური გააქვთ. ცხადია, ამას ბოლო უნდა მოეღოს. ერთი სიტყვით, შეიძლება აღვითქვათ, რომ, თუ პურს სწორად მოვიხმართ და დანიშნულებისამებრ ვამოვიყენებთ, მისი დეფიციტი მოსალოდნელი არ იქნება.

საქინფორმი.

## ხიდი

# სწრაფად, კომპაქტურად... ზერელედ!

ბოლო ხანებში საქართველო ბევრმა უცხოელმა ჟურნალისტმა მოინახულა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თვალსაზრისით პირველ ადგილზეა იაპონია. ამდენი ჟურნალისტი არც ერთ სხვა ქვეყნიდან არ ჩამოსულა. თავისებური რეკორდი ეკუთვნის გაზეთ „იომიურ"-ს, რომელმაც 4 ჟურნალისტი გამოგზავნა. იაპონიაში იმდენად დიდია ჩვენდამი ინტერესი, რომ საქართველოს ამბებში გასარკვევად ჩამოვიდნენ ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები. ტელეკომპანია „ფუძი ტურების" გადამღებ ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა ერთ-ერთი ცნობილი, ახალგაზრდობაში განსაკუთრებით პოპულარული მწერალი იუკიო ტანაკა, 45-წუთიანი გადაცემა რომ გააკეთა საქართველოს პრეზიდენტზე, რომლისგანაც ვრცელი ინტერვიუ აილო. ამჟამად იგი წერს სტატიების სერიას საქართველოს შესახებ. საქართველოსადმი ინტერესი მისთვის აღუძრავს მეგობარ ქალს ნაორი ხორის, რომელიც რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში და კარგად გასცნობია ამ პატარა ქვეყანას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ყოფნისას ქალბატონმა ნაორიმ აღნიშნა: „მე მიყვარს თქვენი მდიდარი ქვეყანა, თქვენი ადამიანები, რომლებიც ერთდროულად მხიარული ხასიათისა და ძლიერი ნებისყოფისანი არიან. ხოლო ბატონი ტანაკას თქმით, არცთუ იშვიათად დასავლეთის პრესა, ზერელედ, პაიჯარად აშუქებს ტერიტორიულად მოშორებულ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ავლენს ქვეყნის ისტორიული წარსულის, კულტურული ტრადიციების ელემენტარულ უცოდინარობას. უმეტესი დასავლელი ჟურნალისტების მუშაობის სტილს ნებსით თუ უნებლიედ [illegible]

[illegible]

...პირულად, ეჭვი შეაქვს მის ობიექტურობაში და სურს პირადად გაერკვეს ჩვენში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში.

[illegible] ...ილეის ელცინი — ეს ბუნებრივი პროცესია. საბჭოთა იმპერიის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში გორბაჩოვმა დაკარგა რეალური ძალაუფლება. მისი ამჟამინდელი სტატუსი კონსტიტუციური მონა- [illegible] ...ფლოო ფასეულ დაფუძნებას ჩვენი პორტების სარგებლობისათვის.

საგარეო საქმეთა სამინისტროს უცხოეთის პრესის განყოფილება

## საზღვარგარეთ

ბუზინ სომხეთში პრეზიდენტის არჩევნები იყო დანიშნული. მეთვალყურეები თვლიან, რომ არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ცნობილ მეცნიერს ლევონ ტერ პეტროსიანს აქვს. მისი მოწინააღმდეგეები კი მას ყარაბაღის პრობლემისადმი რბილ მიდგომაში ადანაშაულებენ.

რიგის გაზეთი „დიენა" იუწყება, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის წარმომადგენლები მეთვალყურის სტატუსით მიწვეულ არიან ნატოს ბლოკის სესიაზე, რომელიც მადრიდში მიმდინარეობს.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიჰ გენშერი ყაზახეთში შეხვდა ნურსულთან ნაზარბაევს. იგი ყაზახეთში მცხოვრებ გერმანელებს შეხვდა. შემდეგ გენშერი კიევში გაემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს გერმანული კულტურის ცენტრის გახსნაში.

შვედეთის სამეფო სამეცნიერო აკადემიამ 1991 წელს ეკონომიკის დარგში ნობელის პრემია მიანიჭა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორს რონალდ ქოუზს.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ იგი საპრეზიდენტო ბრძანებით დანიშნავს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ უმოკლეს ვადაში გაატარებს ლიბერალურ რეფორმებს და დახურავს იმ საკავშირო უწყებებს, რომლებთანაც რუსეთის ფედერაციას წამგებიანი ურთიერთობა აქვს.

მოსკოვში საბჭოთა პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით ერთმანეთს შეხვდნენ სერბეთისა და ხორვატიის ლიდერები სლობოდან მილოშევიჩი და ფრანიო ტუჯმანი. იუწყებიან რომ გორბაჩოვმა მათ გაუზიარა თავისი მდიდარი „გამოცდილება" ეთნოკომპლიქტების გადაჭრის დარგში.

ბელგრადიდან იუწყებიან, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინას პარლამენტმა მიიღო სუვერენიტეტის დეკლარაცია. ამასთან დაკავშირებით სერბმა გენერალმა კადიევიჩმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებას შესაძლოა ახალი სისხლისღვრა მოჰყვეს. ამრიგად, იუგოსლავიის ექვს რესპუბლიკიდან ოთხმა: სლოვენიამ, ხორვატიამ, მაკედონიამ და ბოსნიამ და ჰერცოგოვინამ უნიტარული გაერთიანებიდან გასვლის სურვილი გამოთქვას. ერთიანი იუგოსლავიის მომხრეა მხოლოდ ორი რესპუბლიკა: სერბეთი და ჩერნოგორია.

ისრაელის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ბორის პანკინისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის შეხვედრის დროს იერუსალიმი დახურულ ქალაქად გამოაცხადოს და იქ არც ერთი არაბი არ შეუშვას.

პრეზიდენტ გორბაჩოვის ერთ-ერთმა თანაშემწემ თქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ისრაელის დიპლომატიური ურთიერთობა მაშინვე აღსდგება, როგორც კი ოფიციალურად გამოცხადდება ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანად მოგვარების კონფერენციის დაწყების თარიღი.

ბუზინ ზიმბაბვეს დედაქალაქ ჰარარეში გაიხსნა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელთა კონფერენცია. იგი პიროვნების უფლება-მოვალეობისა და დემოკრატიის სხვა საკითხებს განიხილავს. კონფერენციას ესწრება ინგლისისა და თანამეგობრობის დედოფალი ელისაბედ მეორე. შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობაში 50-მდე ქვეყანა შედის. ისინი ადრე ინგლისის კოლონიები იყვნენ.

კანადელები სულ უფრო ნაკლებ ღვინოს, ლუდსა და მაგარ ალკოჰოლიან სასმელებს სვამენ, თუმცა ამ სიამოვნებისათვის მათ სულ უფრო მეტის გადახდა უხდებათ. სტატისტიკური ბიურო იუწყება, რომ გასულ საფინანსო წელს, რომელიც 31 მარტს მთავრდება, კანადელებმა ალკოჰოლიანი სასმელებისათვის დახარჯეს დაახლოებით 10 მილიარდი დოლარი სამი პროცენტით მეტი, ვიდრე ერთი წლის წინათ. მაგრამ ეს ზრდა არ ფარავს ფასების ზრდას, რომლებიც უკანასკნელ ათწლეულში ყოველწლიურად 8 პროცენტით მატულობდა. საშუალოდ ქვეყნის 15 წლის და უფროსი ასაკის თითოეულმა მცხოვრებმა ლუდის, ღვინის, ვისკის, სხვა ალკოჰოლიანი სასმელისათვის გადაიხადა 471 დოლარი.

კორეის რესპუბლიკამ ორშაბათს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ლიტვასთან და უახლოეს დღეებში მოახდენს ლატვიასა და ესტონეთთან სახელმწიფოთაშორისი კავშირურთიერთობის ნორმალიზაციას. ეს სეულში ოფიციალურად გამოაცხადა სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

12 ოქტომბერს, თქვა მან, ბალტიისპირეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ წავიდა კორეის რესპუბლიკის განსაკუთრებული დავალებათა ელჩი ჰან ტაკ ჩე. მას დავალებული აქვს ხელი მოაწეროს ყველა საჭირო შეთანხმებას ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოს ცნობის შესახებ მთავრობის 7 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ორშაბათს ვილნიუსში ხელი მოაწერეს პირველ მათგანს.

## თანადგომა

# ფეხზე დგება იავარქმნილი სოფელი

ბაიმართა მიწისძვრისაგან დაზარალებული რეგიონების საამშენებლო შტაბების სხდომები ცალკეული რაიონების მიხედვით, რომლებსაც ხელმძღვანელობდა საამშენებლო კომპლექსის მაკოორდინებელი შტაბის უფროსი, ქალაქ თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი თამაზ ვაშაძე. მან აღნიშნა, რომ ხუთ თვეზე მეტია, რაც ჩვენს ხალხს თავს დაატყდა უდიდესი უბედურება, უსახლკაროდ დარჩა 400000 კაცი, მიწასთან გასწორდა ასობით სახალხო მეურნეობის ობიექტი, ბევრი შენობა-ნაგებობა.

ფეხზე დადგა მთელი საქართველო დაზარალებული რეგიონების დასახმარებლად, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში შეწყდა თითქმის ყოველგვარი სამშენებლო საქმიანობა. ეს იყო საკმაოდ გაბედული ნაბიჯი და უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ და მისმა პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ მიიღეს.

მაგრამ ნგრევის მასშტაბები ისე დიდი იყო, რომ ბევრს ეჭვიც კი ეპარებოდა, ვაითუ მისი აღდგენა ქართველმა ხალხმა ამ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში საკუთარი ძალებით ვერ შეძლოსო. სწორედ ამ ძნელი გამოცდის ჟამს გამოჩნდა ქართველი ხალხის უსაზღვრო სულიერი და ფიზიკური პოტენციალი, მისი უდრეკი და შეურყეველი სული. დღესა და ღამეს ასწორებდნენ მშენებლები, მათ მხარდამხარ დადგა მთელი მოსახლეობა და თითქმის შეუძლებელი შეძლეს: აღდგენის, მშენებლობისა და რესტავრაციის 1991 წლის პროგრამა, შეიძლება ითქვას, წარმატებით არის განაღდებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ პერიოდში ქალაქ თბილისსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, რამაც მოშალა რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მართვის მექანიზმი. ამ მიზეზით 35 დღის განმავლობაში მიწისძვრისაგან დაზარალებულ რეგიონებში პარალიზებული იყო სამშენებლო კომპლექსის საქმიანობა.

რეგიონების მიხედვით ჩატარებულ შტაბის სხდომაზე ვრწმუნდებით, თუ როგორ დგება ფეხზე მიწისძვრისაგან ესოდენ იავარქმნილი ჩვენი ქალაქები და რაიონები.

დიახ, მალამოდ ედება ქართველი კაცის გულის იარას ყოველი აღმართული ახალი კედელი, უკვე სახურავქვეშ მოქცეული ათასობით სახლი, ყოველი სიტყვა ნუგეშისა, ყოველი იმედისმომცემი გამოხედვა იმ ადამიანებისა, თავიანთი ვაჟკაცური მარჯვენით ნანგრევებად ქცეული ფუძეების აღდგენა-გაცოცხლებისათვის რომ მოგვევლინენ. დღეს მართლაც არ არსებობს იმაზე დიდი მადლი და სიკეთე, რომ უსახლკაროდ, ღია ცის ქვეშ დარჩენილ ადამიანებს, თავშესაფარი გაუჩინო და მშენებელთა გადაწყვეტილება ასეთია: ზამთარში ღია ცის ქვეშ არც ერთი ოჯახი არ დარჩება.

გორის რაიონში გამართულ შტაბის სხდომაზე საამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელმა ფირმა „ქართლის მშენებლის" თავკაცმა პავლე დონოღუზაშვილმა თქვა, რომ აქ ოსი ექსტრემისტების გამო გართულებულია სამშენებლო მასალების შეტანა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმართვა. სამშენებლო მასალების შეზიდვის დროს ცხრა მძღოლი მძევლად აიყვანეს, იტაცებენ სამშენებლო მასალებსა და მექანიზმებს. ამიტომ საჭიროა უფრო გააზრებული და უსაფრთხო მუშაობა, რათა სამუშაოების შესრულების დროს მიწისძვრისაგან გამოწვეულ მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი არ დაემატოს.

საჭიროა შინაგან საქმეთა ორგანოებმა განახორციელონ ამ რეგიონში შესულ მშენებელთა დაცვისა და უსაფრთხოდ მუშაობის ღონისძიებები.

ამ კომპლექსში არ არის მთლიანად დამთავრებული დანგრეული და დაზიანებული სახლების პასპორტიზაცია, დასაჩქარებელია დარჩენილი საპროექტო სამუშაოების წარმართვა.

საქართველოს რესპუბლიკის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს აღმოსავლეთ საქართველოს სარესტავრაციო საწარმოო-სახელოსნო მუშაობს 60 ხუროთმოძღვრულ ძეგლის აღდგენაზე, მისი მოღვაწეობის არეალი 700 კილომეტრით განისაზღვრება. წლეულს სარესტავრაციო სამუშაოები უტარდება სტიქიისაგან დაზარალებულ ძეგლებს — იკორთის ტაძარს, ზემო კრიხის მთავარანგელოზისა და სორის წმინდა გიორგის ეკლესიებს. მაღალხარისხოვანი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმსა და კარის ეკლესიას.

დანგრეული და აღსადგენი ეკლესია-მონასტრების მშენებლობის დაჩქარების საკითხებით ღიდად არის დაინტერესებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია. ამ ობიექტების მშენებლობისათვის მუდამ მწვანე გზა აქვს საჭირო რაოდენობის სამშენებლო მასალებს.

მიწისძვრისაგან დანგრეულ ჭიათურის რეგიონში (საამშენებლო კომპლექსის ხელმძღვანელი ზაურ კაპანაძე) დღეს ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. რთული რელიეფი ართულებს სამუშაოს, მაგრამ მშენებლები სიძნელეებს არ უშინდებიან. წლების მანძილზე მანგანუმის დამუშავების უსისტემო მეთოდმა, რაიონის მოსახლეობა უმძიმეს პირობებში ჩააყენა, თანდათან იწყო გულგამოცლილმა მიწამ დაშლა და სოფლებიც თან წაიყოლია, ხოლო 29 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ აჭაურ მოსახლეობას ცეცხლზე ნავთი გადაასხა.

სულ ჭიათურაში და მასში შემავალ სოფლებში დაზარალებულია და აღსადგენია 11221 კერძო საცხოვრებელი სახლი, მათგან ახლად ასაშენებელია 1600, გასამაგრებელია 4750, შესაკეთებელია 4871.

ამჟამად სულ აშენებული, გამაგრებული და შეკეთებულია 4788 საცხოვრებელი სახლი, მათგან ახლად აშენებულია 463, გამაგრებულია 1754, შეკეთებულია 8571, მუშაობა მიმდინარეობს 8629 საცხოვრებელ სახლზე, მათგან 815 ახლად ასაშენებელზე, 1035 გასამაგრებელზე, 779 შესაკეთებელზე.

გარდა კერძო სახლებისა, სულ ჭიათურის ტერიტორიაზე დაზიანებულია 68 კომუნალური საცხოვრებელი სახლი, მათგან ახლად ასაშენებელია ათი სახლი (187 ოჯახი).

განათლების სისტემის ობიექტები თითქმის ყველგან მომთავრდა, რითაც საშუალება მიეცა მოსწავლე ახალგაზრდობას დროულად დაეწყო სწავლა.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ობიექტებზე მუშაობის ტემპი ძლიერდება. დამთავრდა ოთხი ობიექტი, დანარჩენი დამთავრების სტადიაშია.

ძალების უკმარისობის გამო დღემდე კულტურის დაზიანებულ ობიექტებზე მუშაობა არ დაწყებულა, სულ დაზიანებულია 33 ობიექტი.

საავტომობილო გზების მშენებლობაზე კვლავ არასაკმარისია მუშაობის ტემპი. თუ დამატებითი ღონისძიებები არ განხორციელდა, ამინდის გაუარესების შემდეგ შეუძლებელი გახდება შორეულ სოფლებში და უბნებში მისვლა.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა ზესტაფონის საამშენებლო კომპლექსმა, რომელსაც ხელმძღვანელობს ვახტანგ ლომთაძე, მათ დახმარება ესაჭიროებათ, რათა დროულად მიიღონ გეოლოგიური დასკვნები. ხარაგაულის რაიონში, სოფელ ღორეშის სკოლაზე არა აქვთ საპროექტო დოკუმენტაციები, სამშობიარო სახლის მშენებლობაზე აკლიათ 800 კვადრატული მეტრი კაფელი, სკოლებში დასაგებია პარკეტი.

ქალაქ ამბროლაურში კინოთეატრის შენობაში გამართულ შტაბის სხდომაზე მშენებელთა მიერ გაწეული მუშაობის პრობლემებისა და ამოცანების შესახებ ინფორმაცია გააკეთა საამშენებლო კომპლექსის უფროსმა ნოდარ ხარაბაძემ. მან აღნიშნა, რომ ამბროლაურში სულ მიწისძვრისაგან დანგრეული ან დაზიანებული 7618 სახლიდან უკვე აღდგენილია 67 პროცენტი ე. ი. 4548 საცხოვრებელი სახლი.

დიდი მუშაობაა გაწეული სასკოლო-სააღმზრდელო ობიექტების მშენებლობაზე. სადღეისოდ მათი აბსოლუტური უმრავლესობა მზად არის სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების წარმართვისათვის.

საუკეთესო საჩუქარი მიიღეს სადმელელმა მოსწავლეებმა — აქ უკვე დამთავრდა ახალი საშუალო სკოლის შენობის აგება, რომელიც საკმაოდ საიმედოდ და მაღალხარისხოვნად შესრულდა. ახალ სასწავლო წელს ახალ სკოლაში დაიწყებენ მეცადინეობას თლუღელი და ველეველი მოსწავლეები.

ითქვა შტაბის სხდომაზე რაიონული საავადმყოფოს მშენებლობის მიმდინარეობის შესახებაც, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება. ძირითადად და ამიერიდან ამბროლაურელ ავადმყოფებს ადგილზე კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ შენობებში მკურნალობის შესაძლებლობა ექნებათ.

შტაბის სხდომაზე განსაკუთრებით ხაზი გაესვა რიცეულჰესის მშენებლობის დაჩქარების საქმეს, რადგან ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევაში ის მთლიანად უზრუნველყოფს ამ რეგიონს საკმარისი რაოდენობის ელექტროენერგიით.

ითქვა იმის შესახებაც, რომ სათანადო ტექნიკური საპროექტო დოკუმენტაციების დამთავრების შემდეგ მშენებლებმა დროულად უნდა დაიწყონ ხვანჭკარის ღვინის ქარხნის აღდგენითი სამუშაოს შესრულება.

ონში გამართულ შტაბის სხდომაზე ინფორმაციებით გამოვიდნენ საამშენებლო კომპლექსების ხელმძღვანელები ავთანდილ ჩალაძე და თამაზ ბერეკაშვილი, რომლებმაც ისაუბრეს არსებულ სირთულეებზე.

ონის რაიონში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ერთ-ერთი წამყვანი წარმმართველი ორგანიზაციაა „კავგვირაბმშენის" სამშენებლო სამმართველო (უფროსი ავთანდილ ჩალაძე). საკმარისია მის შტაბში გამართულ რაიონის სოფლების საამშენებლო კომპლექსის ერთ თათბირს დაესწრო, რომ დარწმუნდე: მთავარი, რამაც აღნიშნულ სამმართველოსა და მის თავკაცს ავტორიტეტი მოუპოვა, გახლავთ დისციპლინა, პროფესიონალიზმი, პრინციპულობა და პასუხისმგებლობის მაღალი დონე. იგრძნობა, რომ თითოეულ მუშაკს კარგად აქვს შეგნებული მათი შრომის დიდი მნიშვნელობა.

ბევრი თქმულა და დაწერილა რაჭის სავარგულებზე, ამ მამულების პატრონს რა უნდა გაუჭირდეს, ცოტა ხელი გაანძრიე, ჭკუა მოიხმარე და... მაგრამ ამბროლაურის რაიონში შესულს გული მოგიკვდება, ჯერ არის და უზარმაზარი ზღვა, შაორის წყალსაცავი, ულამაზოდ ჩაწოლილი ულამაზეს ხეობაში.

—ნიკორწმინდას პირველად ამ წყალმა შეურყია საძირკველი და ისეთი სენი შეჰყარა, ვაითუ ვეღარ განვკურნოთო, — ამბობს ჭარმაგი მოხუცი.

შაორის წყალსაცავმა რამდენიმე ჰექტარი სავარგული დააკარგვინა რაჭველ მეურნე კაცს. ამჟამად მდინარე რიონი ყოველწლიურად 4-5 მეტრით იფართოებს კალაპოტს და ამცირებს ისედაც დაპატარავებულ სავარგულებს. შტაბის სხდომაზე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა გაბიონების მშენებლობის საკითხი, თორემ რამდენიმე წლის შემდეგ რაჭაში სავარგულები საერთოდ არ იქნება და მდინარე რიონი მათ შავ ზღვაში ჩაიტანს. გაბიონების მშენებლობა სახალხო მშენებლობად უნდა გამოცხადდეს, რაშიც თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას მშენებლებთან ერთად ამბროლაურისა და ონის პრეფექტურებმა.

შტაბების სხდომებზე თითქმის ყველგან აღინიშნება სამშენებლო მასალების ნაკლებობა, ხე-ტყის, ლითონის და ცემენტის უკმარისობა.

ამ დღეებში დამთავრდება კასპის ცემენტის ქარხნის მეორე ღუმელის სამუშაოები, რაც სტაბილურს გახდის ყოველდღიურად 600-700 ტონა ცემენტის გამოშვებას, საერთოდ კი უნდა დაისვას საკითხი ამ ქარხნის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის შესახებ.

ამ ქარხანას ყოველწლიურად ესაჭიროება 3600-4000 ტონა ცეცხლგამძლე აგური, რომელიც პრობლემადაა გადაქცეული, ვინაიდან უკრაინის ხელმძღვანელთა დეპეშით შეჩერებულია რესპუბლიკის გარეთ ცეცხლგამძლე აგურის გატანა. მიუხედავად ამისა, ქარხნის ხელმძღვანელობის (დირექტორი ნოდარ მურჯიკნელი) და რესპუბლიკის საამშენებლო კომპლექსის თავკაცის ბატონ თამაზ ვაშაძის უშუალო ძალისხმევით კონსტანტინოვკაში გაგზავნილ იქნა 19 კაცი ფონდით კუთვნილი აგურის გამოსაშვებად და გამოსატვირთად.

აღინიშნა ისიც, რომ საამშენებლო კომპლექსებში ფინანსური მდგომარეობა არის გართულებული, შესრულებულ სამუშაოებზე მშენებლები ვერ იღებენ თანხებს, რის გამოც გართულებულია ხელფასების გაცემა.

გაუმჯობესებას მოითხოვს მუშათა კვებისა და საყოფაცხოვრებო პირობები. ახლა, როდესაც ზაფხულის ცხელი დღეები წავიდა და შემოდგომამაც თავისი ჩვეული სიგრილე შემოიტანა, განსაკუთრებით ყურადსაღებია ამ საკითხისადმი გულისხმიერება.

რეგიონების მიხედვით ჩატარებულ შტაბის სხდომებზე გამომსვლელ მშენებელთა და იქ დამსწრე მოქალაქეთა პოზიცია ერთსულოვანი იყო: მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში მომუშავე მრავალათასიანი მშენებლები და რეგიონების მოსახლეობა მხარს უჭერს ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტსა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას, მის ბრძოლას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ჯემალ გურული,

„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

## თვალსაზრისი

**ჩვენი გაზეთი ტრადიციისამებრ ზოგჯერ აქვეყნებს თვითგამოცემითი ლიტერატურის ნიმუშებს, რომელთა ავტორები, გასაგები მიზეზების გამო, ზოგჯერ მალავენ თავიანთ ნამდვილ ვინაობას. წერილი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ა. წ. აპრილ-მაისში უნდა იყოს დაწერილი. ვფიქრობთ, ზოგი მოსაზრება აქტუალურია, ზოგიც შეიძლება სადავო იყოს, ზოგჯერ იქნებ არც დავეთანხმოთ. თუ ავტორი ამჯერად გაბედავს თავისი ვინაობის გამხელას, ვთხოვთ, მოგვწეროს წერილი და აგვიხსნას მიზეზები, თუ რად ამჯობინა ფსევდონიმით ხელმოწერა.**

# შეთქმულება ხალხის წინააღმდეგ

## და ყოველივე განცხადდა

**უძრაობის** ბნელ გვირაბში როგორც იქნა გამოჩნდა სინათლე — გარდაქმნა... ჰოდა, ყველა ერთხმად აყაყანდა სტალინ-ბრეჟნევის დროის კოშმარზე, სამართლიანობის (მათ შორის ისტორიულის) აღდგენის საჭიროებაზე, ჰუმანიზმისა და გულმოწყალების აღორძინებაზე. და, რაც მთავარია, ყველამ იგრძნო, რომ საჭიროა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მსხვრევა და მართვის დემოკრატიული სტრუქტურებით მისი შეცვლა.

ვერაფერს იტყვი, ყველაფერი სწორია: უფლებობის ქვეყანაში სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ უფლებებს და მათი რეალიზაციის მექანიზმს, რამეთუ სამართლის საკითხში გაურკვევლობა და ქაოსი აფერხებს ქვეყნის განვითარებას; თანაც, სამართლიანობა ცალმხრივი, მარტოოდენ ცალკეულთათვის არ უნდა იყოს, რადგან ამას ჩიხისკენ მივყავართ, რომელიც, როგორც ჩანს, ვიღაცას ძალზე აძლევს ხელს; არც დემოკრატია უნდა იყოს სიცრუე, ვიღაცასთან ანგარიშსწორების საბაბი, ხელღვნურ-ძალადობითი, ნიღაბი იმისა, რომ დავფაროთ სახე შესაძლოა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე შემზარავი და სისხლიანი დიქტატურისა, რომელიც ამასთანავე არც ისე გონივრულია, რადგან ეს კატასტროფას უქადის არა მარტო დაგეგმილს და დაგეგმილთ, არამედ მგეგმავებსაც, რომლებიც ასე თავგამოდებით იცავენ თავს და რომლებსაც ასევე თავგამოდებით იცავენ.

ხალხმა თავდაპირველად თითქოს ირწმუნა ეს ნათელი, მაგრამ უცებად... სადღაც სისხლი დაიღვარა და დღემდე იღვრება, ადამიანები სამკვდრო-სასიცოცხლოდ აღდგნენ ერთმანეთის წინააღმდეგ და... წამოიჭრა საკითხები: — ნუთუ ბედნიერების გზა უზარმაზარი მასების უბედურებაზე, ადამიანთა დამსხვრეულ სვე-ბედზე გადის?! და საერთოდ, რა ხდება სინამდვილეში?!

...ედუარდ შევარდნაძის გამოსვლამ, როგორც ამბობენ, დასავლეთს ელდა ეცა, ჩვენს ქვეყანას კი თავზარი. რას იზამ, პატიოსნად იყო ნათქვამი. მაგრამ, ვაი, რომ, გაცილებით ადრე უნდა თქმულიყო ეს, ამ „დიდი საქმის“ დასაწყისშივე, რამეთუ დიქტატურა იმთავითვე იგეგმებოდა. რაც შეეხება დასავლეთის „ელდას“, ამაზედ უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა, რამეთუ ეს დასავლეთი არცთუ ისე მიამიტია.

ჯერ კიდევ გარდაქმნის გარიჟრაჟზე, ყარაბაღებისა და ფერგანების „მარწყვის“ დაწყებამდე გაცილებით ადრე, ფრიად მოზრდილი, მაგრამ ძალზე შეზღუდული აუდიტორიების წინაშე გაისმა არცთუ უმნიშვნელო ინფორმაცია იმის თაობაზე, ვითომდა რესპუბლიკებში „უძრაობა შეიქნა“ — აქაც მკვიდრი მოსახლეობა უმრავლესობას შეადგენს და 34-40 პროცენტამდე უნდა „შემცირდეს“.

ეტყობა, უნდა ჩავეძიოთ მთელ ამ განხეთქილებათა შემზარავ მიზეზებს და აღვკვეთოთ მათი წარმოშობის წყაროები. მაგრამ, ვაი, რომ, ამაზე არავის არ უზრუნია. პირიქით, უკუღმა მიმართულებით უფრო ზრუნავენ ისინი, ვინც „ღმერთს ევედრება“ ამა თუ იმ ხალხს შორის მშვიდობისა და თანხმობას. ცალკეულია იმათზე, ვისაც საქართველოში ეგრეთ წოდებული „მესამე ძალა“ უწოდეს.

...მაშ, ასე, რა ხდება? — საჭიროა დაუყოვნებლივ და წმინდა მოქალაქეობრივი სინდისით ვუპასუხოთ ამ კითხვას, რათა მოსალოდნელზე კიდევ უფრო შემზარავი რამ არ მოხდეს.

— ხდება კი ის, რომ ცდილობენ გამოგონილი სოციალიზმი და მისი ბერწი ეკონომიკა რაღაც საეჭვო (სანახევრო (სანახევროდ კი არა) კაპიტალიზმით, მოჩვენებით-გამოგონილი დემოკრატიით შეცვალონ, რომელსაც ექნება ეგრეთ წოდებული „რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა“, კაცმა კი, თუ ღრმად მაინც ერკვევა ეკონომიკაში, კარგად უნდა იცოდეს, რომ „რეგულირებადი“ საბაზრო ეკონომიკა არ არსებობს. ერთი შეხედვით იგი სტიქიური, მაგრამ ბუნებრივი და თვითრეგულირებადია.

გამორიცხული არ არის, რომ მალე (თუმცა არც ისე მალე) იძულებული გავხდებით ძირეულად გარდავქმნათ და დავამსხვრიოთ ყოველივე ძველი, აწყ გადავიდეთ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, მისთვის კი დამახასიათებელით: ბუნებრივი ეკონომიკით, დემოკრატიის უფრო მაღალი დონით და საჯაროობის გაცილებით მაღალი დონით. მაშინ კავშირი ან საერთოდ დაიშლებოდა, ან დარჩებოდა ამა თუ იმ ფორმით, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა მოკავშირე სახელმწიფოთა ნამდვილი და რეალური სუვერენიტეტის პრინციპებზე (როგორც ამას ამბობს არის, დაახლოებით და თვალის მოსატყუებლად, ჰკრიტიკებულ „სტალინურ-ბრეჟნევულ“ კონსტიტუციაში) და ერთმანეთის სრულ პატივისცემასა და ნდობაზე. ეკონომიკაში ეს, უდავოდ, ორმხრივ ხელსაყრელი იქნებოდა და ყველას აყვავებდა.

მაგრამ ასეთი რამ რომ არ დაეშვა, ცენტრი შანტაჟისა და პროვოკაციების გზას დაადგა. საქართველოს მიმართ კი, ყოველივე ამის გარდა, ბანდიტური ტერიტორიული შეკვეცის, რესპუბლიკის ელემენტარული სუვერენული უფლებების აბუჩად აგდებისა და გათელვის, ეროვნული ელემენტის შეგნებული ამოძირკვის გზას დაადგნენ.

ამრიგად, სრულიად უბოდიშოდ აქეზებენ ხალხებს ერთმანეთის წინააღმდეგ, თანაც, — არა მარტო მაღალ სამთავრობო და საკანონმდებლო დონეზე. ასეთ შემთხვევაში პროვოკაციებს და ნაწყალობევს არ უნდა ავყვეთ, როგორც ეს ოსმა ექსტრემისტებმა ქნეს, ცოტა ადრე კი სხვებმაც... ნურავინ ნუ შეეცდება და ნუ ეგონება, რომ იგი უფრო მეტად უყვართ და უფრო მეტად სჭირდებათ, რომ უფრო გაიძვერა და უფრო ჭკვიანია, ვიდრე სხვანი. ასეთები არ არიან: ყველანი თანაბრად „უყვართ“ და სჭირდებათ ერთმანეთის წინააღმდეგ.

ამაში ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რაღაცას, რაც სავსებით მისაღწევი და წინასწარ დაგეგმილია, კანონზომიერებად, ლამის ღვთის ნებად გვთავაზობენ. და ახლა, როცა მთელმა საბჭოთა ხალხმა (განსაკუთრებით მისმა მოაზროვნე ნაწილმა) ყოველგვარი და ყველაფრის რწმენა დაკარგა, გამოჩნდნენ ვიღაც „ასტროლოგები“ — მკითხავები და ჭკუისამრევი უცხოური წყაროები. რომელიღაც ინდოელმა გურუმ — წინასწარმეტყველმა — ცენტრალური ტელევიზიით გვაუწყა, რომ „ბალტიისპირეთი გამოეყოფა... დანარჩენები კი მოინდომებენ, მაგრამ.... ცუდად იქნებიან..“. თან სასაცილოა, თან — დაუჯერებელი, — ვიღაცას სამი წლით ადრე „ეუწყა“ ცუდი.

საჭიროების ფონზე გაცილებით უფრო დამაჯერებლად ჟღერს ხმები, რომ დასავლეთ საქართველოში სტიქიური უბედურების დროს სამხედროებმა წყლის ნიაღვარი საგანგებოდ მიუშვეს ოთხ ქართულ სოფელზე და პირისაგან მიწისა აღგავეს ისინი, რათა ეხსნათ „ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა“; რომ თბილისის მთაწმინდის საბაგირო გზის კატასტროფამდე ერთი საათით ადრე ვიღაც ამძვრალა სამაგრ კოშკზე... და საერთოდ, ნუთუ შემთხვევითია რესპუბლიკაში გარდაქმნის წლების მანძილზე ეს უამრავი კატასტროფები და უბედურებანი?! მომავალში რაღა მოხდება?! თავზე ხომ არ ჩამოექცევა ხალხს ენგურის 273-მეტრიანი კაშხალი, ხომ წინასწარმეტყველებენ დიდ მიწისძვრებს; ხომ არ მოედება აქაურობას რაღაც შემზარავი სენი, რომლის ახსნაც მხოლოდ რომელიღაც ქიმიურ ლაბორატორიაში ხანძრით ან სპარსეთის ყურეში საბრძოლო მოქმედებით გამოწვეული სათბურის ეფექტით თუ შეიძლება?! ხომ ითქვა, რომ საჭიროა ქართველი ხალხის რიცხვის დარეგულირება, რომელიც ისეც ძალზე დარეგულირებულია?! ხომ ვიცით, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი დიდხანს უქმნიდნენ ამას იდეოლოგიურ და მატერიალურ ბაზას. მორალურად ამზადებენ ამისთვის მთელ საბჭოთა (და არა მარტო საბჭოთა) ხალხს.

26 იანვრის ბრძანებულების ზედ ამოქმედების წინ „ვრემია“ პროგრამამ გვაუწყა რომ, თურმე, ქართული შეიარაღებული ფორმირებები სამხრეთ ოსეთში „მაროდიორობენ და თავზარს სცემენ მოსახლეობას“, და ასეთ ინფორმაციას ვიღებთ იმ დროს, როცა თავის მშობლიურ, ისტორიულ მიწა-წყალზე, შიდა ქართლში მცხოვრები ათასობით ქართული ოჯახი უკვე ლტოლვილად იქცა და იძულებულია თავს გაქცევით უშველოს იმის გამო, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები და შეიარაღებული ოსი ექსტრემისტები უნაირისად ურთიერთმოქმედებენ.

გულმოდგინედ მომზადებულ დანაშაულს ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყარაბაღისთვის ისტორიული დავა და მისი გადაწყვეტის სამართლებრივი საშუალებები ზუსტად გაიმეორეს საქართველოში, და პატივცემული პრეზიდენტი თავს არ იტკივებს იმისთვის, რომ გაარკვიოს: „სამხრეთ ოსეთი“ ძალადობრივად შეაკოწიწეს ოდინდელი ქართული მიწებისგან, როცა ეს დემოგრაფიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით უმრავლესობა ქართველობა იყო, რომ ასეთი ძალადობით ასეთი „ოსეთები“ ასზე მეტი შეიძლება შექმნან. ცენტრალურმა ტელევიზიამ ლამის აღიარა ეს, როცა თქვა, რომ ამ მიწა-წყალზე ოსთა რამდენიმე თაობა ცხოვრობსო, მაგრამ სად არის ლოგიკა, განა ვინმემ და აპირა მათი იქიდან გამოყრა, და არც არავინ აპირებს, პირიქით კი ხდება...

...ამ სისხლიანი სპექტაკლის გარეგან წარმართვას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქოს ვიღაცის ბრძანებით ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის კვალდაკვალ მძაფრდება ხოლმე ვითარება ყარაბაღში. ამას კი იმიტომ შვრებიან, რომ ვერავინ მიხვდეს, სად არის ისტორიული სიმართლე, სად არის უფლებები და უუფლობანი.

რატომღა არ უნდა გამოაცხადონ ცხინვალში „დემოკრატიული რესპუბლიკა“, როცა მოსკოვში უკვე დიდი ხანია ითქვა, რომ ავტონომიებს სტატუსი უნდა მიემატონ და საკავშირო ხელშეკრულების სუბიექტებად აქციონ; რატომღა არ გამოაცხადებს საკუთარ სახელმწიფოს სხვის სახლში, რაზეც ვერც ერთი ხალხი ვერც კი იოცნებებდა ათას წელიწადში ერთხელ; რატომღა არ გაყრი ქართველებს თავისი მიწა-წყლიდან, როცა ამით სისხლხორცეულად არის დაინტერესებული მოსკოვი და მთელ მსოფლიოში გაჰკივის, საწყალ ოს ხალხს „უფლებებს ულახავენ და ავიწროებენო“; და ბოლოს, რატომღა არ დაუშვენ ექსტრემისტები ქართველებს უახლეს, უზარმაზარი დამანგრეველი ძალის საბჭოთა იარაღს, როცა ეს ექსტრემიზმი და საერთოდ ექსტრემიზმის მთელი პოლიტიკა უმაღლეს სახელმწიფო დონეზე ხორციელდება, „იზვესტია“ კი აჭრელებულია სტატიებით დაჭრილ [illegible]

სტატუსის ამაღლებისა და სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ფორმით.

ეს რომ, ეტყობა, არავითარ ისტორიულ სიმართლეზე და სამართალზე არ იქნება ლაპარაკი და, რაკი ამ სამართალს ასე განზრახ უგულებელყოფენ, დროა ზოგ-ზოგებს შევახსენოთ, რადგან ამას ახალი ბედუკუღმართობანი მოჰყვება ქართველი ხალხისთვის, ამჯერად სხვა რეგიონებში და უფრო გრანდიოზული მასშტაბით...

კარგია, რომ ამჟამად აფხაზეთში მაინც სიმშვიდეა და სისხლი არ იღვრება. პირველი შეხედვით ისიც გვეგონა, რომ ვლადისლავ არძინბას ერთ-ერთ თავის ინტერვიუში უთქვამს, ხალხი დაღალეს კონფლიქტებმა და მშვიდობა გვჭირდებაო.

ძალიან კარგი. როგორც იტყვიან, მშვიდობა თქვენდა. მშვიდობა თანაბრად სჭირდება ყველას— აფხაზებსაც, ქართველებსაც და, საერთოდ, შფოთიან წარსულს ვერც ერთ ხალხს ვერ დავაბრალებთ.

...მაგრამ უნდა კი მშვიდობა ცნობილი „აფხაზური წერილის“ ერთ-ერთ ორგანიზატორსა და ავტორს, რომელშიც ლაპარაკია აფხაზი ხალხის მოზმახულ და ცრუ სტალინურ-ბერიულ „გენოციდზე“ და აფხაზეთის ეგრეთ წოდებულ „ქართველიზაციაზე“; რომელშიც ლაპარაკი, არც მეტი, არც ნაკლები, რაღაც ქართულ „ფაშიზმზე“. მოუტანს თუ არა იგი, არმიასთან და რეფერენდუმის საკავშირო კანონის შემდგენლებთან ერთად, ქართველ და აფხაზ ხალხებს მშვიდობას?! განა ისინი ამას ვარაუდობენ?!

არ მინდა ცუდი ვიფიქრო, მაგრამ თვით ამ წერილის შორს გამიზნული შინაარსი, აზრი იმისა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებლადაც იარსებებსო (ესე იგი გადაკრულად ნათქვამი სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე და საერთოდ გამოყოფაზე); 26 იანვრის ბრძანებულება; დიდი ხნის დაწყებული ლაპარაკი „საქართველოსა და აფხაზეთზე“, „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთზე“; ტურჩანინოვის გამოკვლევა; „ქართული ფაშიზმი“ და ასე შემდეგ, დიდად არ გვამედებს.

დამოუკიდებლად არსებობა მარტო „აფხაზეთის მიწა-წყალს“ კი არა, მთელ შორეულ აღმოსავლეთის მხარესაც შეუძლია, მაგრამ დიდად არ გვემება, თუ ამ საბაბით მას ჩინეთს ან ამერიკას შეუერთებენ, თუმცა ამას უდავოდ მოჰყვებოდა ამ მხარის აყვავება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პატიოსანი ანგლოსაქსები არასოდეს არ დაუშვებდნენ, არ დაეცემოდნენ იმდენად, რომ შევიწროებინათ, გაეყარათ და მოესპოთ რუსები. ასე რომ „დამოუკიდებელი არსებობის“ შესაძლებლობაზე ლაპარაკი წმინდა წყლის დემაგოგიაა. დამოუკიდებლად მაჰმადსაც შეუძლია მთაზე იარსებოს.

ხალხების აყრა მშობლიური ადგილებიდან, ეკონომიკური და ისტორიული ცრუმეცნიერება, ტურჩანინოვის ნაკვლევის მსგავსი,— აი, ფაშიზმის თანამზრახველნი. იქნებ ვინმემ ამოფხაჭნა კიდეც აფხაზეთის ერთ-ერთ ტაძარზე რაღაც წარწერები, მაგრამ არავის არ „ჩაუმატებია“ ძველქართული წარწერა, გარდა ტაძრის მშენებლებისა ათასი წლის წინათ. დიახ, აფხაზეთი ეწოდებოდა ტერიტორიას ქუთაისიდან დასავლეთისკენ და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთისკენ; მაგრამ სასაცილოა იმის მტკიცება, თითქოს ქართველები აქ მფრინავი თეფშებით მოფრენი- [illegible]

სხვათა) რიცხვი, რომლებსაც პასპორტში „აფხაზი“ ეწერათ გარკვეული პრივილეგიების მიღების მიზნით. „ქართული ფაშიზმით“ ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ „აფხაზთა“ 88 პროცენტმა, ესე იგი 100 ათასიდან 88 ათასმა არც ქართული იცის, არც აფხაზური. ამბობენ, ქართულ სკოლებში ხელში სცემდნენ ყოველი აფხაზური სიტყვის თქმისთვის, მაგრამ ხელთაცემის გულისთვის კაცობრიობის ისტორიაში არავის არ დაუვიწყებია დედაენა. ენა კი ქართულ სკოლებშიც, სადაც ვითომდა ფაშისტური წესრიგი სუფევდა, აფხაზი ბავშვებისთვის არავის მოუჭრია.

როცა აფხაზეთში სტალინურ ძალადობაზეა ლაპარაკი, პატიოსნად უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი რამ მართლაც იყო, ვინაიდან მას შემდეგ, რაც სტალინმა საქართველო დაიპყრო და შემდეგ ხელი მიჰყო მის არამართლზომიერ ავტონომიზაციას თავისი ორმაგი დაქვემდებარებით, იმთავითვე შეუქმნა ფართოდ გამოცხადებული კონსტიტუციური სუვერენიტეტი როგორც საქართველოს სს რესპუბლიკას, ისე ქართველ ხალხს, რომელიც ათასობით წლის განმავლობაში მშობლიურ მიწა-წყალზე ცხოვრობდა.

ტერიტორიული საკითხის გარდა გამოგონილი საქართველოს ავტონომიების პრობლემა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემად გადაიზრდება, ხოლო მთელი დემაგოგია იმის თაობაზე, რომ „არც ერთი ერი არ უნდა გაქრეს“, სხვა ერის გაქრობის საბაბად არ უნდა იქცეს. ავტონომიების შანტაჟს ცენტრმა იმ დღემდე გაცილებით ადრე მიმართა, რომლის შემდეგაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო. რესპუბლიკაში ჯარების თავმოყრა და საბრძოლო ვითარების შექმნა ქართველი ერის წინააღმდეგ დანაშაულებრივ შეთქმულებაზე მეტყველებს, და არა ცენტრის რაღაც კეთილ განზრახვებზე. დღევანდელი დღის ფონზე დანაშაულებრივად გამოიყურება ლაპარაკი „საქართველოს ომზეც“, ფედერაციის სუბიექტების კანონზეც, მიწის კანონზეც და ბევრ სხვა რამეზეც.

მთელ ამ პოლიტიკურ უბედურებათა გარდა, ალბათ, გაავრცელებენ გეგმაზომიერ ეკონომიკურ ქაოსსაც, და იმ მიზნით, რომ მოსახლეობა არ გაიფანტოს, როგორც ოდესღაც ებრაელებს დაემართათ, წინასწარ უნდა მივუხვდეთ ამ მიმართულებებს, რათა სამოქალაქო ომი არ გაჩაღდეს.

ეტყობა, ვიღაცამ დიდი ხანია გადაწყვიტა ქართველი ერი 34-40 „ეგზემპლარამდე“ დაეყვანოს (როგორც ამის თქმა უყვარს პრეზიდენტის საბჭოს ერთ-ერთ პატივცემულ წევრს). ამ მხრივ რაღაც უნდა ვიღონოთ, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს უკვე დიდი ხანია ყველაფერი მოფიქრებული აქვს როგორც მორალურ-ფსიქოლოგიური, ისე მატერიალურ პოლიტიკური თვალსაზრისით.

იქნებ არც უნდა ვიყოთ შეურიგებელი ანტიგარდამქმნელები და „ანტიგორბაჩოვისტები“, მაგრამ სად გაექცევი იმ ჭეშმარიტებას, რომ გორბაჩოვს სტავროპოლის მხარეში არც კი დასიზმრებია ის, რომ გარდაქმნის ექსპერიმენტის ხანაში მთელ ქართველ ხალხს სასტიკად დევნიდნენ. იქნებ იყო კიდეც რაღაც მითითებანი მოსკოვიდან, მაგრამ ადგილზე აუწერელი გაფთრებული ინიციატივა გამოიჩინეს: ვითომდა კორუფციასთან და მექრთამეობასთან ბრძოლის საბაბით ამ ბოროტებას გაწაფულად და გაიძვერულად უწყობდნენ ხელს; ვითომდა ინტერნაციონალიზმის საბაბით, ნაკრძალი სახელმწიფო ფონდის მიწებიდან გულუხვად ურიგებდნენ ნაკვეთებს სხვა მეზობელი ხალხების წარმომადგენლებს (არცთუ ლამაზი თვალებისთვის და არცთუ მოჩმახული ცრუინტერნაციონალიზმის გულისთვის), განსაკუთრებით, იმათ, ვისაც უნარი შესწევს ელვისებურად შეცვალოს რესპუბლიკის დემოგრაფიული სახე. ქართველს კი ამ დროს ლამის ბინის უფლებას ართმევდნენ, სასამართლოებსა და მილიციებში დაატარებდნენ ვიღაცის პროვოკაციული საჩივრების გულისთვის; ძალზე გაწაფულად და გამიზნულად მიმდინარეობდა ერთმანეთის წინააღმდეგ ხალხთა წაქეზების პროცესი; იქმნებოდა პირობები რომლებიც აუტანლობის გამო რუსოფობიას იწვევდა და ამასთანავე ხელს უწყობდა საპირისპირო პროცესს უბრალო ხალხისა და ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონის დონეზე. ყოველივე ამას აღწევდნენ სხვადასხვაგვარი პროვოკაციით. 1984 წლის თვითმფრინავის ამბის მსგავსად, როცა გაბრიყვებული ყმაწვილები დახვრიტეს. ყოველივე ამას თან ახლდა მოსკოვისა და რუსი ხალხის ერთგულების დემონსტრაცია.

გარდაქმნის მთელი ექსპერიმენტი მისი დამახინჯებულად განხორციელების გამო, ქართველმა ხალხმა ნერვოზისა და ფუსფუსის ვითარებაში გაატარა (რაც ცოტა ხნის შემდეგ რუს ხალხსაც შეეყარა), ბოლო წლებში კი ამან ზენიტს მიაღწია: ქართველი ერის მიმართ ბრალდებანი, დევნა და ცილისწამება არა მარტო საკავშირო, არამედ მსოფლიო მასშტაბისა გახდა. ვიღაცამ მოახერხა ლამის მთელი მსოფლიო წინააღმდეგობის დაეფოკუსებინა ერთ პატარა წერტილში, და ბევრს ალბათ ჰგონია, რომ, თუ ამ წერტილს გაჭყლეტენ, ბედნიერების სუფევა მოვა ამქვეყნად.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ზოგ-ზოგნი ამაოდ იტყუებენ თავს: ესაოდა, დასავლეთი იმიტომ არ გვიჭერსო მხარს, რომ დეზინფორმირებულია აქაურ პროცესებზე, სიმართლე არ იცისო საქართველოზე. ვიღაც-ვიღაცეები ამაოდ ცდილობენ, რომ აქედან მართალი ინფორმაცია გავიდეს იმ რთული, საბჭოური ინფორმაციის გადასაწონად... დასანანია, რომ ჯეროვნად ვერ შეაფასეს რადიო „თავისუფლების“ დიქტორის, სუკის ყოფილი შტატის მუშაკის კონსტანტინე ნადირაშვილის არცთუ ორაზროვნად ნათქვამი სიტყვები, რომ შესაძლოა „ნანგრევებში“ მოვყვეთ: რატომ ვერ მივუხვდით, თუ რატომ იმოწმებს თავის გამოსვლებში მაინცდამაინც ინფორმაციის პროვოკაციულ წყაროებს; ამაოდ ვერ შევაფასეთ ჯეროვნად დასავლეთის პრესის პუბლიკაციები იმის თაობაზე, გორბაჩოვს ჯარები „ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად“ და რეფორმების განსახორციელებლად დასჭირდებაო.

ეტყობა, აქ ძალზე დაიბნენ და ვეღარ მიუხვდნენ „ასტროლოგის“ ღაღადისის ვერაგულ ჩანაფიქრს იმის თაობაზე, ესაოდა საქართველოში ზღვა სისხლი დაიღვრება, მაგრამ მაინც თავისუფალი გახდებაო; ვერ მიხვდნენ, რომ დასავლეთში ათჯერ მეტი იციან, ვიდრე აქ ვინმეს შეუძლია შემოგვთავაზოს.

...რაც უფრო გაბედული და უბოდიშო იქნება ცენტრის ზეგავლენა ქართველი და ზოგიერთი სხვა ხალხის უფლებების ფეხქვეშ გათელვა მით უფრო აუცილებელი გახდება უხეში სამხედრო ძალის გამოყენება და მით უფრო გამძაფრდება წინააღმდეგობანი ქვეყნის შიგნით.

სანამ დასავლეთი დუმილს ამჯობინებს შინაური, დროულად დათესილი კონფლიქტების გადაწყვეტის სამხედრო გზა საბოლოოდ გააპარტახებს ეკონომიკას და შესაძლოა კავშირსაც. სანამ დასავლეთი დუმილს ამჯობინებს, ქართველი ერი შეიძლება სამხედრო პროვოკაციებმა იმსხვერპლოს. ჰოდა, ამისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ არა ვიღაც გენერლებსა და პოლიტიკოსებს, არამედ მთელ რუს ხალხს. ეტყობა, სრული ნგრევისთვის თავდაპირველად საჭიროა რუსი ხალხის იმპერიული სულის დანგრევა“. საერთოდ კი მართალი იყო შევარდნაძე, როცა დემოკრატიის გამარჯვების რწმენა გამოთქვა.

ეტყობა, რუსეთიც დაიბნა. როდიონოვის მსგავსად, გენერლების ჭკუამ ნორმალური ვერაფერი მოიფიქრა. მათ მხოლოდ ასრესინე ყველანი, ესე იგი უდიდესი სულიერი საზრდო მიაღებინე და უბინაობა აჩიშლებინე იქ, სადაც ხალხი 20-20 წელიწადი დგას რიგში და ბინა ვერ მიუღია; დღემდე არავის უკითხავს ნიშანოვისთვის, რატომ მაინცდამაინც იმ დროს მოხდა ფერგანის რბევა, როცა უკანასკნელმა დეპუტატმა ასწია მანდატი მისი კანდიდატურის მხარდასაჭერად, და საერთოდ... ხელი ხომ არ შეუწყო ამ რბევამ საერთოდ შუა აზიაში, თანაც ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით, „ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას“?!; არავის არავისთვის არ უკითხავს: ჩემო ძმაო, მართლა ვინდა დემოკრატია და გარდაქმნა, ახლაც რომ მხარდაჭერისთვის მოუწოდებ ყველა ქვეყანას?! და საერთოდ, რა გინდა, საერთოდ ვინა ხარ?!

მართლა შეიძლებოდა ჩამჟავებული რუსოფობი გამხდარიყავი, მაგრამ ამ ბოლო წლებში რუსი ხალხი ისეთსავე ნერვოზულ მდგომარეობაში ჩააგდეს, როგორშიც იყო და დღემდე რჩება ქართველი ხალხი; სახეზეა იგივე, დიდი ხნის ნაცადი მეთოდები და საშუალებანი, ყოვლად დაბნეული რიგითი რუსი „პატრიოტი“ ყველა თავის უბედურებას „ქართველ სეპარატისტებს“ აბრალებს და მოთმინებით ელის იმ ბედნიერ დღეს, როცა ბოლოს და ბოლოს ამოწყვეტავენ და „რეზერვაციებში შერეკავენ“ „ამ „ტურებს“.

ქართველი ხალხი დაღალა გაუთავებელმა ცილისწამებამ და პროვოკაციებმა და, ეტყობა, მართალი არ უნდა იყოს ბორის ელცინი: ქართველი ხალხი არც „თავისია“, არც „საკუთარი“.

თავის საკუთარ ხალხს ცილს არ სწამებენ. თავის ხალხს გაუთავებლად არ ავიწროებენ ტერიტორიულად, მორალურად, ფიზიკურად, სამართლებრივად. საკუთარ ხალხს გაუთავებლად არავინ უწყობს პროვოკაციებს და არ ცელავენ ავტომატის ტყვიით, არ ხვრეტავენ ტანკებიდან, არ ჩეხავენ ხელბარებით და არ წამლავენ საბრძოლო ქლორპიკრინით. საკუთარი ხალხის წინააღმდეგ თავით ფეხამდე არ აიარაღებენ სხვა ხალხთა წარმომადგენლებს და არ უწერენ სამოქალაქო ომის სცენარებს. საკუთარი ხალხის წინააღმდეგ არ აქეზებენ ლამის ნახევარ მსოფლიოს და არ ცდილობენ დააინტერესონ „საკუთარი“ ხალხის გაწყვეტით, სხვა ხალხების საკეთილდღეოდ.

ქართველი ხალხი იმისთვის როდი არსებობს, რომ ვიღაცამ მისი უბედურებით ბედნიერება აიგოს. საქართველო იმისთვის როდი არსებობს, რომ ვიღაცა გაუთავებლად აფურთხებდეს მის დიდილ ზეცას. თავისუფლება აუცილებელია თუნდაც იმ დონეზე, რომელიც იხსნის „საკუთარი“ ხალხის სინდრომისგან და გაუთავებლად დაუსჯელი სისხლისღვრისგან.

ცენტრალური ტელევიზიის გადაცემათა ხასიათიდან აშკარა ხდება, რომ სამხრეთოსეთელი ექსტრემისტების „გმირული ბრძოლა“ დამამთავრებელ ფაზაში შედის. ტყუილად ხომ არ გაისარჯნენ: ძუძუთა ბავშვს ტყვია დაახალეს; ჯგუფურად აუპატიურებენ არასრულწლოვან ქართველ გოგონებს; პროვოკაციისთვის გამოიყენეს ქალები და ბავშვები, რათა ქართულ მილიციას მათთვის ტყვია ესროლა... და ბევრი, ბევრი ასეთი რამ.

თუ თვალს გავადევნებთ ქართული ტელევიზიის გადაცემებს, მივხვდებით, რომ იგი სრულიადაც არ ემორჩილება ახლად არჩეულ პარლამენტს (და თუ ემორჩილება კიდეც, იქ სპეცსამსახურების მიერ შეგზავნილი ბევრი მტერია ქართველი ხალხისა), რამეთუ „პლურალიზმისა“ და „საჯაროობა-დემოკრატიზმის“ ნიღბით ეს ტელევიზია ისეთ გადაცემებს აკეთებს (კერძოდ, კითხულობს გაბოროტებულ, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთიდან გამოქცეული ქართული მოსახლეობის წერილებს, რომლებიც ფრიად ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს, რომ ბაქურის ვარიანტი მზადდება ცენტრალური საქართველოს და თბილისის მასშტაბით. ტელევიზია პარლამენტს არ ემორჩილება, და კონგრესმენი წერეთელი ამაოდ ცდილობს ამის ახსნას „ფაშიზმის დაუშვებლობით“, იმით, რომ „დემოკრატიულ ქვეყნებში ტელევიზია სრულიად დამოუკიდებელიაო“.

წერეთელსა და ჭანტურიას ისიც ეყოფათ, რომ პროვოკაციული გაზეთის „მოლოდიოჟ გრუზიის“ ფურცლებზე გამოვიდნენ, რითაც ქართველ ხალხს მიუსიეს საბჭოთა კავშირის ვანდალური სამხედრო მანქანა და მთელი რუსი ხალხი: თურმე, „ქართველ ერს ნეიტრალიტეტი სულში არ ჰქონია“; „საქართველო მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ გადაიქცევა, როცა სამხედრო ხელშეკრულებებს დადებს ნატოსთან და ისრაელთან“; „რუსეთს არავითარი პრიორიტეტები არა აქვს არც ეკონომიკაში, არც პოლიტიკაში, არც სამხედრო თვალსაზრისით“. აი, ასე. და კიდევ, თურმე ნუ იტყვით, „ქართველებს უყვართ მეომრობა და მტრების ძებნა, თუნდაც ისინი არსად იყვნენ“. აქ კი ბოდიშს მოვიხდი ამ ბიჭების წინაშე: ქართველ და რუს ხალხებს, და ბევრ სხვა ხალხსაც, დაუძინებელი და ვერაგი მტერი ჰყავთ. და რაგინდ გაჰკიოდეს ქართულ ფაშიზმზე ამ ბიჭების მეშვეობით, მსჯავრს ვერსად წაუვა.

რაგინდ ღაღადებდეს ცენტრალური ტელევიზია ქართველ „ბოევიკებზე“, ფაშიზმი ვერც არის და ვერც იქნება ქართული, რამეთუ მას თავისი ეკონომიკური საფუძველი აქვს — მსხვილი კაპიტალი. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა იქნება შემდგომში, თუ ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვა: თუ საცოდავ „რეგულირებად“ საბაზრო ეკონომიკაზე ამდენი ლაპარაკია, ნამდვილ ეკონომიკაზე გადასვლისას რაღა იქნება?!

ამით შეგვეძლო დაგვემთავრებინა, მაგრამ, ვაი, რომ აზრი აქვს კვლავაც განვაგრძოთ და ზოგიერთი რამ დავაზუსტოთ, რაკი ამ ბოლო ხანს ცენტრალური პრესა მთელ ძალებს რაზმავს რაღაც „ქართული ფაშიზმისა“ და „ფაშისტი გამსახურდიას“ წინააღმდეგ.

ვერაფერს იტყვი, საქართველოში უკვე აზვირთდა ფაშიზმი, მაგრამ სრულიადაც არა ქართული და სრულიადაც არ „გამსახურდიასეული“. ოსი ექსტრემისტები, ეს „თავისუფლების მებრძოლები“, ცოცხლად წვავენ ქართველებს, აუპატიურებენ მცირეწლოვან გოგონებს; საბჭოთა ჯავშანტრანსპორტიორები თავს ესხმიან ქართულ სოფლებს და არბევენ ორ მართლმადიდებლურ ტაძარს, პროვოკაციულად იწვევენ მოსახლეობას. რათა უფრო დიდმასშტაბიანი კონფლიქტი და გენოციდი მოაწყონ. მართალია, ვერ გამოსდით, და ოფიცრები განაწყენდნენ, რატომ არ გვესვრიანო, რატომ არ წამოეგებიანო პროვოკაციის ანკესს. აფხაზეთშიც მოხდა რამდენიმე ფრიად უსიამო ინციდენტი, მიუხედავად იმისა, რომ „ქართველი ფაშისტები“ ამგვარ გამოხდომებს რაღაც ღვთაებრივი მოთმინებითა და დიდსულოვნად იტანენ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კი, „ფაშისტი“ გამსახურდიას მეთაურობით, ყოველნაირად ცდილობს მეგობრული ურთიერთობა აღადგინოს არა მარტო სიტყვით, არამედ კონსტიტუციური გარანტიებითაც. გვინდა წარმატება და მშვიდობა ვუსურვოთ ყველას, მაგრამ, ვაი, რომ აუცილებლად გამონახავენ „აფხაზეთის მიწა-წყალზე“ „პროცენტული შემცირების“ გეგმის წარმატებით განხორციელების საბაბს, როგორც ეს მოხდა ცხინვალისა და ჯავის რაიონებში — „სამხრეთ ოსეთის მიწა-წყალზე“.

ფაშიზმის აშკარა გამოვლინებაა ის ფაქტი, რომ რუსეთის პარლამენტის ერთ-ერთი დეპუტატი თავის გამოსვლებში სამხრეთ ოსეთის ამბებს „ჩვენს რუსულ ყარაბაღად“ ნათლავს. საკითხავია, ეს როდის აქეთაა სამხრეთ ოსეთი „თქვენი“ რუსული ყარაბაღი“. რაღაც ფაშისტურ-ტერიტორიული ამბიციების ბრალი ხომ არ არის ის, რომ დღეს ამდენი ვაება დაატყდა თავს შიდა ქართლის ისტორიულად ქართულ მიწა-წყალს?!

დიახ, მართლაც შეიძლება ჩამჟავებული რუსოფობი გახდე, ყველაფერი რუს ხალხს დააბრალო, მაგრამ... მთლად ასე არ არის, ანგარიშიდან ვერ ჩამოვწერთ ჟურნალ „ოგონიოკის“ მიერ „თვის კაცად“ დასახელებულ ედუარდ შევარდნაძეს. ჟურნალმა ჯეროვნად ვერ შეაფასა იგი: ბატონი ედუარდი, რომელიც ვიღაც-ვიღაცეებს მორალს უკითხავს ადამიანურობაზე, საქმით ის კაცია, რომლის ფაშიზმმა და ავანტიურიზმმა უკვე გადააჭარბა ჰიტლერულს. თავისი ხალხის დაუძინებელმა მტერმა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და წარმართვის ოსტატმა, თავისი სატანური ჭკუით შეძლო ხელში ეგდო არა მარტო მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი, არამედ „შემცირების“ იდეით — თვით გორბაჩოვიც, და ამასთანავე გაუთვალისწინებინა მისი, და არა მარტო მისი, ყველა ფსიქოლოგიური წვრილმანი. მან შეძლო რუსი კაცის და საერთოდ მთელი იმპერიული სახელმწიფოს უარყოფითი ემოციები შეეკავშირებინა ქართველი ერის წინააღმდეგ, რათა საბოლოოდ ჩაეფურთხებინა მისთვის სულში. მან ისპეკულანტა ყოველივე დადებითით და ნათელით, რაც კი აქვს რუსულ სულს, რათა მეტისმეტად დადებითად განეწყო იგი „მცირე სამშობლოსადმი“, თან გზადაგზა მის სულშიც აფურთხებდა.

...რაღაც პარადოქსი გამოდის, ლაწირაკი წერეთლისა და მისივე (იგულისხმება შევარდნაძე) არჩეული კონგრესის მეშვეობით, აგრეთვე ცენტრის მხრივ უვლურესი შემოქმედებით ბატონი ედუარდი ქართველ ერს დღევანდელობის ყველაზე ბარბაროსულ არმიას უპირისპირებს.

შევარდნაძე დიდად გაწაფულია იმ საქმეში, რომ ვიღაცას რაღაც ცუდი გაუკეთოს და მერე მასვე დააბრალოს. ამ „დიდმა ადამიანმა“ წარმატებით გამოიყენა ეს ფაშისტური მეთოდი ქართველი ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლების, შემდეგ კი მთელი ქართველი, და არა მარტო ქართველი, ხალხის წინააღმდეგ.

აი, რეები ხდება, და ამას ბოლო არ უჩანს. აი, პრესაში ბაქანალიაც, რომლის შემდეგ ჩეხოევი საგანგებო წესების შემოღებას მოითხოვს. თითქოს მთავარი იყოს ვიღაცის „წყენინებანი“, და არა ისტორიული სიმართლე და სამართალი.

მართლაც, შევარდნაძის აჩრდილი დაგვადგა თავს. 70-იანი წლების მიწურულს სწორედ მისი ხელშეწყობით შემუშავდა იმის გეგმა, რაც დღეს ხდება. სწორედ იგია ტურჩანინოვების, ზასლავსკების და სხვათა ფაშისტური მეცნიერების მთავარი სულისჩამდგმელი. სწორედ ამით მოიხვეჭა უზარმაზარი ავტორიტეტი და სწორედ ამის გამოისობით არ იძირება დღემდე. ყველა საკითხიდან თავდაპირველად მან მთავარი — ეროვნული საკითხი აირჩია: შემდეგ, როცა „შემცირების“ იდეა გაყიდა და წაახალისა იმპერიის მთელი თავხედურ-მხეცური ბუნება, რაც ბევრს მოეწონა და დღემდე მოსწონს, გასაღები გამოუნახა იმპერიის ციხესიმაგრეს, ჩინებულად ესმოდა რა, რომ სწორედ ეს მისცემს დასაბამს ამ, მართლაც, მრავალმხრივ მავნე სახელმწიფოს ნგრევას. ეს არ დავიწყნია მაშინაც კი, როცა პოსტს ტოვებდა, როცა ეს განაწყენებული „ქართველი“ თან ლანძღავდა კიდეც თავისივე ხელით შექმნილ „პამიატს“. მე ვთხოვდი ახალ როდიონოვებს, იცოდნენ ყოველივე ეს, სანამ ქალებისა და ბავშვების ახალ ხოცვა-ჟლეტას მოაწყობდნენ „შევარდნაძის გულისთვის“; იცოდნენ, რომ მისი პიროვნება სწორედ ამ ქვეყნის ღირსეული რეციდივია.

დროა მოსკოვში გაირეკოს ანტიქართული შტაბი, რამეთუ საკუთარი ხალხის მტრისგან რუსეთის მეგობარი არასოდეს გამოსულა, და ასეა ამჯერადაც. მგელაძის მეთაურობით აბაშის რაიონში გარდაქმნის ექსპერიმენტმა „ეკონომიკური სასწაული“ კი არ მოგვცა, რაზეც ასე გაჰკიოდა პრესა, არამედ ნამდვილი ფინანსურ-სასოფლო-სამეურნეო კატასტროფა — რაიონს ასტრონომიული ვალები შემორჩა, მოსახლეობა კი გაიქცა, რაც შემდგომში ამა თუ იმ ფორმით მთელ ქვეყანას დაემართა ამჯერად, როგორც ზღაპარშია, ბოროტებას ბოროტება მოჰყვა.

თბილისის კარიბჭესთან დგას რუსეთ-საქართველოს მეგობრობის უზარმაზარი ძეგლ-სიმბოლო. იმის ანგარიშს არ დავიწყებ, თუ რა უბედურება მოუტანა ამ ხალხებს ასეთმა „მეგობრობამ“. ამ „ავადმყოფ“ ქართველ ხალხს ვერც რუსოფობია შეჰყარეს და ვერც განაწყენებულის კომპლექსი. შესაძლოა, არა მარტო დიდსულოვნების გამო, არამედ იმიტომ, რომ იმ რევოლუციაში, ისევე როგორც ამ რევოლუციაში, რუსული არაფერია ტერიტორიული ამბიციურობის გარდა, რომელიც მტრებმა გაითვალისწინეს, ტუტუცური „ჰო“ და „ვაშას“ გარდა, ყოვლად გაუმართლებელი თავხედობის გარდა უწინარესად საკუთარი თავისა და განსაკუთრებით ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

სადღეისოდ ამ ხალხმა უკვე გააკეთა იძულებითი და ალბათ ერთადერთი სწორი არჩევანი, არც არავინ უტოვებს უკან დასახევ გზას. იქნებ დროა მოლაპარაკება დავიწყოთ, იმის ნაცვლად, რომ ბოროტი გეგმებით დავაშინოთ, დავიწყოთ ისე, რომ თავი ვანებოთ სისინს „ქართულ ფაშიზმზე“, „ქართულ სტალინიზმზე“, „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთზე“, ხომ ვიცით, რომ არც ისე ლაზათიანად ჟღერს—„რუსეთი და სანქტ-პეტერბურგის ოლქი“. საერთოდ სასაცილოა ეს. იქნებ გვეყოფა ყოველგვარი ეკოლოგიური კატასტროფები ეთნიკურად ყველაზე სუფთა რაიონებში და მოსკოვურ კულუარებში ხითხითი — ესაო და საქართველოს „რეზერვაციებში ვერეკებითო“. იქნებ გვეყოფა ესოდენ თავხედური გამოყენება გეოდეზიური იარაღისა, რომლის ეფექტიანობაზეც საჯაროდ ლაპარაკობდა ერთ-ერთი ფრიად პატივცემული უძრაობისდროინდელი ხელმძღვანელი (თუმცა კი ჩიოდა, ძვირი ჯდებაო).

იქნებ უსინდისო პოლიტიკურ პრაქტიციზმსაც მოვუღო ბოლო? წინათ იგი უზარმაზარ მოგებას იძლეოდა, ახლა კი ცივილიზებულმა სამყარომ უკვე გამოიმუშავა (და მადლობა ღმერთს!) ძალზე ეფექტიანი იმუნიტეტი მის წინააღმდეგ — ყველაფერი ბუმერანგივით უკან გვიბრუნდება, და ისე არ მოხდეს, რომ მთელი სისაძაგლე და ვერაგობა ისტორიამ არ შემოგვიბრუნოს და თავისი მკაცრი ანგარიში არ წარმოგვიდგინოს.

**დანიელ აბვერი**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმების მუდმივმა კომისიამ შეიმუშავა და პრესაში განსახილველად გამოქვეყნდა კანონპროექტი „საიჯარო ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტის შესაბამისად, უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივ კომისიაში მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულება, რომელსაც გთავაზობთ განსახილველად.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციასა და უზენაესი საბჭოს სოფლის მეურნეობის, მიწათსარგებლობისა და ეკოლოგიის მუდმივ კომისიას.

პროექტი

# საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში იჯარის დებულება

[illegible]

დანართი № 1

[illegible]

დანართი № 2

[illegible]

დანართი № 3

## ხელშეკრულება იჯარით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შესახებ

„——"——————199 წ

—————— რაიონის სოფელ ——————

საკრებულოს გამგებელი, შემდგომში „იჯარადარად" წოდებული, ხელმძღვანე-

[illegible]

მეიჯარე ——————

პასპორტის სერია —————— № ——————

ანგარიშის № ——————

(ბანკის მითითებით)

## საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბატონ ბესარიონ გუგუშვილს

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

15 ოქტომბერს საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში" გადაიცა წერილი რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, რომელსაც ხელს აწერდა 130 კაცი. ისინი მოითხოვდნენ გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორის განთავისუფლებას და გაზეთ „დრონის" რედაქტორისა და თანამშრომელთა მიმართ სათანადო ზომების მიღებას. ასეთი უპასუხისმგებლო განცხადებები შუღლსა და მტრობას ალვივებენ რესპუბლიკის მოსახლეობაში, განსაკუთრებით კი ჟურნალისტთა შორის, ვნებენ ობიექტურობას და საბოლოო ჯამში, რესპუბლიკის ხელისუფლებას. წერილის ავტორები თავს უფლებას აძლევენ მოგვევლინონ მსაჯულის როლში, არადა დემოკრატიის, „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონის სრულ უცოდინარობას ავლენენ. ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ზემოთ დასახელებული კანონით, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ სასამართლოს და ჟურნალისტთა კავშირთან შექმნილ ჟურნალისტთა პროფესიული ეთიკისა და უფლების დაცვის საბჭოს (ე. ი. ჟურნალისტთა სასამართლოს) აქვთ ამა თუ იმ ჟურნალისტის ქმედებაზე დასკვნების გამოტანის უფლება სათანადო შეფასებებით.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჩვენი აზრით ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობას ევალება არა მარტო იცნობდეს კანონს პრესის შესახებ, არამედ განუხრელად იცავდეს მას.

ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობის დღევანდელი პოზიცია არ გვაკვირვებს — საკმაო ხანია ამ ორგანიზაციაში არ იცავენ არავითარ კანონს. ამიტომაც ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი მის გარეთ დარჩა. მხოლოდ ამ ჟურნალისტთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით შეიძლება, რომ მივიღოთ ობიექტური და საინტერესო ტელერადიო გადაცემები.

ბოლოსდაბოლოს, ტელერადიოდეპარტამენტის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ჟურნალისტების მიერ კანონის, მოქალაქეობრივი და პროფესიული მოვალეობის შესრულება.

რაც შეეხება კოლექტიური განცხადებების ფართოდ გამოყენებას, ყველას კარგად გვახსოვს, რა გასაქანიც ჰქონდათ მათ ახლო წარსულში. როგორც მრავალგზის ითქვა, მსგავსი პრაქტიკა დღეს აღარ გამოგვადგება.

პატივისცემით,

**ნ. ჩერქეზიშვილი,**
საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე.

1991 წლის 16 ოქტომბერი.

**რედაქტორის მინაწერი:** თავს უფლებას ვაძლევ, რამდენიმე პირადი მოსაზრება გამოვთქვა წერილის შესახებ, რომლის ადრესატიც თავად არ გახლავართ.

1. მოქალაქეთა დიდი ჯგუფის პოზიციას თაობაზე „დასკვნების გამოტანის უფლება სათანადო შეფასებებით" არც ერთი კანონით არ იკრძალება, მაგრამ არ მგონია ადამიანებისთვის (რომელთა რეალური რაოდენობაც, მერწმუნეთ, 180-ზე გაცილებით მეტია), საკუთარი შეხედულების, გნებავთ, მოთხოვნების გამოთქმის უფლების აყრის სურვილი ამშვენებდეს ჟურნალისტს.

2. ერთობ მკვირცხლად რეაგირებთ „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" კანონის დარღვევის თაობაზე. თქვენს ჟურნალისტურ რეწოდებს, ვფიქრობ, ფრიად წაადგებოდა, პრინციპულობა რომ გამოეჩინათ და არაორაზროვნად გამოგეთქვათ საკუთარი პოზიცია, როდესაც სრულიად აშკარად და ცინიკური თავხედობით ირღვეოდა მუშაობისა და დემოკრატიის უპირველესი პრინციპი — იარაღით ხელში ამკვიდრებდნენ დემოკრატიულ მოთხოვნებს. ყველაზე არსებითი კანონის დაცვის კატეგორიული მოთხოვნის გარეშე, პრესის კანონის დაცვის სურვილი მუნდირის ღირსების დაცვის არცთუ ღირსეულ მცდელობად მეჩვენება.

3. თავს ნუ მოვიტყუებთ, ჭეშმარიტად „ობიექტური და საინტერესო ტელერადიო გადაცემები" უახლოეს მომავალში, სავალალოდ, ვერანაირი „მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით" ვერ მიიღწევა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველივე ამას სრულიად სხვა რანგის პროფესიონალიზმი სჭირდება. ჩვენი მძიმე წარსული და გამოცდილება კი ამის საშუალებას, სამწუხაროდ, არ იძლევა.

4. „ჟურნალისტის მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების" უზრუნველყოფა არავის ძალუძს ქვეყანაზე, გარდა... თავად ჟურნალისტისა. მეჩვენება, რომ ამ აქტის ყველაზე მართებული ხორცშესხმა იქნებოდა საბჭოთა საქართველოს სამსახურში დაწინაურებული და ამ გზით მეტად პატივცემული თუნდაც ერთი ჟურნალისტის მიერ უარის თქმა საკუთარ პროფესიაზე.

დაბოლოს, ბოდიშს მოვითხოვ კადნიერებისა და მკვეთრი ტონის გამო თქვენი, როგორც ასაკოვანი ადამიანის წინაშე.

პრობლემა

# ქართული ხალიჩის ბედი

**სენაკის** ხალიჩების კომბინატის გაჭირვებასა და სიძნელეებზე არაერთხელ აუწყეს [საზოგადოებ]ას გაზეთებმა და ტელევიზიამ. ეს ათი წელია საწარმო ჩამორჩა, თავს ვერართმევდა საქმეს, ვერ უშვებდა ძვირადღირებული პროდუქციის დაგეგმილ რაოდენობას, რის გამოც მილიონობით მანეთი სახელმწიფო ვალი დაედო.

ეს იმის გამო მოხდა, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ინერგებოდა ახალი ტექნიკა — დაზგა-დანადგარების უმეტესი ნაწილი ფიზიკურად და მორალურად მოძველდა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა სართავ-საგრეხ წარმოებაში.

1982 წელს, როგორც იქნა, გადაწყდა კომბინატის რეკონსტრუქცია და ხელახალი შეიარაღება, მაგრამ ეს პროცესი ისე უთავბოლოდ წარიმართა და გაჭიანურდა, რომ ტექნოლოგიური ხაზის დისპროპორცია გამოიწვია. დაირღვა ტექნოლოგიური ციკლი, მუშაობა შეფერხდა. ვალს ვალი ემატებოდა და 1990 წლის 1 ივლისისათვის 25 მილიონ მანეთს მიაღწია. ამას ისიც დაემატა, რომ საწარმო ყოველგვარი ეკონომიკური ანალიზის გაუკეთებლად დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე გადაიყვანეს, რასაც ახალი სირთულეები მოჰყვა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ კომბინატმა ფაქტობრივად დაკარგა სხვა საწარმოებთან კავშირურთიერთობა, შეიქმნა ნედლეულისა და დამხმარე მასალების მიუწოდებლობის საშიშროება, ეს კი საფრთხეში აგდებდა თვით კომბინატის არსებობასაც.

საქმე მთავრობამდე მივიდა. ამ რამდენიმე თვის წინათ საქართველოს მინისტრთა საბჭომ იმსჯელა ხალიჩების კომბინატში შექმნილ მდგომარეობაზე. აქ შემუშავებულ ღონისძიებათა შესაბამისად ფინანსთა სამინისტრომ კომბინატს 7,6 მილიონი მანეთი გამოუყო, რითაც საწარმოს საშუალება მიეცა ამოესუნთქა, ნაწილობრივ მაინც შეემსუბუქებინა შექმნილი მძიმე სამეურნეო-საფინანსო მდგომარეობა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კომბინატს 30 პროცენტით შეუმცირეს ბრუნვითი გადასახადი.

როგორც კი საწარმოს თავისუფალი თანხა გაუჩნდა, ხელ-ფეხი გაეხსნა და საშუალება მიეცა სხვა ორგანიზაციულ საქმეებზეც ეზრუნა. დაუყოვნებლივ განახლდა ხელახალი შეიარაღება-რეკონსტრუქციის სამუშაო, რომელიც თანხის უქონლობის გამო დიდი ხნის მანძილზე დაკონსერვებული იყო. ამ საქმისათვის წელს 1,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება და, უწინარეს ყოვლისა, იგი გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას მოხმარდება. ცალკე თანხაა გამოყოფილი ორი 30-ბინიანი სახლის მშენებლობისათვის, ინერგება შრომის ორგანიზაციის და ანაზღაურების ახალი ფორმები, რითაც ერთიორად გაიზარდა ხელფასები. ეს კი შესაძლებლობას გაძლევს შემცირდეს მუშათა დენადობა და კოოპერატივებში განთესილი ძირითადი პროფესიის მუშა სპეციალისტები კვლავ მშობლიურ საწარმოს დაუბრუნდნენ.

ყოველივე ამის შედეგად საწარმომ წლევანდელი წლის მარტო პირველ ნახევარში 6,2 მილიონი მანეთი მოგება მიიღო, რაც მას მრავალი წელია არ ჰქონია. ეს კი უკვე ახალ გზებს უხსნის საწარმოს შემდგომი განვითარებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს კომბინატის რეკონსტრუქციის დამთავრებას, რაც ასე უზომოდ გაჭიანურდა. მოგების თანხის დიდი ნაწილი მოხმარდება მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას: კვლავაც გაიზრდება ხელფასები, აშენდება საცხოვრებელი სახლები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ამით კი თავის მხრივ გარანტირებული იქნება ძველი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება.

საწარმოში სწორედ იმ დღეებში ვიყავით, როცა გაზეთებმა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის კანონი გამოაქვეყნეს და, ბუნებრივია, კომბინატის დირექტორთან ნოდარ მელიასთან საუბრის დროს, ეს საკითხიც წამოიჭრა. დაისვა კითხვა, თუ რამდენად გააუმჯობესებს საწარმოს მდგომარეობას კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი უკვე 1 ოქტომბრიდან იქნება სამოქმედოდ შემოღებული, დირექტორმა კონკრეტულად თავიანთი კომბინატის მაგალითზე ამის შესახებ მსჯელობა ნაადრევად ჩათვალა და გარკვეულ პასუხსაც თავი აარიდა. მას მიაჩნია, რომ ასე დიდი საწარმოს პრივატიზაციის საკითხი იოლად გადასაწყვეტი არ არის. მისი აზრით, როგორც ეს კანონშიც არის მითითებული, სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო საწარმოთა გარკვეული ნაწილი შეიძლება არ დაექვემდებაროს პრივატიზაციას. ასეთი ობიექტების ნუსხას ყოველწლიურად განსაზღვრავს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

— ამ ნუსხაში, ალბათ, ჩვენი კომბინატიც შევა, — გვითხრა მან.

ასე იქნება, თუ ისე, სენაკის ხალიჩების კომბინატი რომელიც ჩვენს დროში სამანქანო წარმოების ეპოქაში, ქართული გამოყენებითი დეკორატიული ხელოვნების მდიდარ ტრადიციებს ემყარება და აგრძელებს, ისეთი მძლავრი ეროვნული საწარმო უნდა გახდეს, რომლის პროდუქცია შორს გაუთქვამს სახელს ქართველი კაცის ნახელავს. თუმცა რატომ მაინცდამაინც შორს, უცხოსათვის მისაყიდად ვითვალისწინებთ ყველაფერს? არც შინ გვაწყენდა ჩვენივე ხელით დამზადებული ლამაზად მოხატული ხალიჩები. მართალია, დღეს გვიჭირს, მაგრამ ადამიანი არასოდეს არ არის გულგრილი გარემომცველი საგნებისადმი, რომლებიც მას ესთეტიკურ სიამოვნებას და სულიერ სიმშვიდეს ანიჭებენ.

**მიხეილ მიქაძე,**
**ბორის ფოცხვერაშვილი,**
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტები.

საზღვარგარეთ

## ბრძანებულება იცავს ბაზარს

**მოლდოვეთის** პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა ბრძანებულება გამოსცა რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზრის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. ეს აუცილებლობა, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, გამოიწვია იმან, რომ კვლავ იზრდება დამნაშავეობა და ბოროტმოქმედება საქონლის განაწილებასა და მომხმარებლამდე მიტანაში, მატულობს დატაცებათა და სპეკულაციის მასშტაბები. მოლდოვეთის პრეზიდენტმა შექმნილი სიტუაცია შეაფასა როგორც კრიზისული და შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე რესპუბლიკის პროკურატურის, ვაჭრობის სამინისტროს და სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკური გაერთიანების ხელმძღვანელებს მოსთხოვა ძირფესვიანად გააუმჯობესონ მუშაობა. რესპუბლიკის მთავრობას რეკომენდაცია მიეცა გამოიყენოს კანონით მინიჭებული ყველა უფლება სამომხმარებლო ბაზრის დაცვისათვის, დატაცებათა და სპეკულაციის თავიდან აცილებისათვის.

პრეზიდენტის ბრძანებულებით სახელმწიფო საწარმოებს ეკრძალებათ გამოუყონ სახალხო მოხმარების საქონელი, მათ შორის იმპორტით შესყიდული, კოოპერატივებს, კერძო და ერთობლივ საწარმოებს, საზოგადოებრივ ფორმირებებს. არასახელმწიფო საწარმოებსა და კერძო პირებს ახლა უფლება არა აქვთ გაყიდონ დადგენილ საცალო ფასებზე მეტად საქონელი, რომელიც მათ არ უწარმოებიათ. აკრძალულია აგრეთვე იმ საქონლის ხელზე გაყიდვა, რომელზეც შემოღებულია სახელმწიფო მონოპოლია, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გატანა, რამლებიც არ შედის მთავრობის მიერ დადგენილ ნუსხაში.

მოლდოვეთის რესპუბლიკის ეროვნული ეკონომიკის, ფინანსთა, ვაჭრობის სამინისტროებმა და სამომხმარებლო საზოგადოებათა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ, როგორც ბრძანებულებაშია აღნიშნული, უნდა გაამკაცრონ კონტროლი ფასების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების რეალიზაციის წესების სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოთა მიერ მიღებული მოგების კანონიერების დაცვისადმი.

**საქინფორმი — მოლდოვა-პრესი.**

## „შპიგელი" ქუვეითის ხანძრების შესახებ



**ზოგიერთი** ბიბლიური წინასწარმეტყველება დღეს რეალური ხდება. კერძოდ ეს ითქმის ჩერნობილის ატომურ რეაქტორზე და სპარსეთის ყურის ხანძრებზე. წინასწარმეტყველების მიუხედავად კატასტროფებისა და ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა. გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა" აღწერა ქუვეითის მძვინვარე ხანძრების ჩაქრობის ტექნოლოგია.

პირველ სურათზე ნაჩვენებია წყალსაქაჩები, რომლებიც ბარიერს მიღმა არიან დაფარული. ისინი სპარსეთის ყურიდან წუთში 20 ათას ლიტრ წყალს იწოვენ და მძლავრი ნაკადით ცდილობენ ცეცხლის კერის ლიკვიდაციას.

მეორე სურათზე ნაჩვენებია კოშკი, რომლის საშუალებითაც ცდილობენ ჭაბურღილის მონგრევას ან მოცილებას. ეს პროცესი ჩვეულებრივ წყალზე ხდება.

მესამე სურათზე ჭაბურღილიდან ამოვარდნილ ალს შემხვედრი აფეთქებით აქრობენ. აფეთქება რამდენიმე წამით ანადგურებს ჟანგბადს, რაც ცეცხლის შეწყვეტას იწვევს.

მეოთხე სურათზე ცვლიან მაღაროს საკეტს, რათა ჯერ აუალებელმა ნავთმა ზედაპირზე არ ამოაღწიოს.




„შპიგელი" აღნიშნავს, რომ ზემოთ აღწერილი მეთოდები ინდივიდუალურია და ვითარებისდა მიხედვით გამოიყენებიან. ჟურნალი აღნიშნავს, ეს ღონისძიებები ძალიან ძვირი ჯდებაო. მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია. ერაყის მიერ ცეცხლწაკიდებული ქუვეითის ნავთობჭაბურღილების წესრიგში მოსაყვანად მუშაობენ ამერიკელი, კანადელი და ფინელი მენავთობე-მეხანძრეები.

მუშაობა მთელი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობს და ადამიანებიც ძალიან იქანცებიან. ამას გარდა ნაპერწკლიდან, ძრავიდან ან ელვის მოხვედრით ყოველ წამს მოსალოდნელია აფეთქება. სამუშაოს დიდი ნაწილი ხელით სრულდება და ვირტუოზულ ხელოვნებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ასეთი რთული სამუშაოს შესასრულებლად უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებია მოწვეული, ამას გარდა თვითოეული მათგანი დიდი სიმამაცით გამოირჩევა. ანაზღაურებაც შესაბამისი აქვთ — დღეში 3 ათასი ფინური მარკა. (დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ეს თანხა დოლარებად გადაიყვანოს). თავდაპირველად აალებულ ჭაბურღილთან, რომლის სიმაღლე 20-სართულიან სახლს აღწევს, მხოლოდ 300–500 მეტრზე შეიძლება მიახლოება. ირგვლივ ყველაფერი მკვდარი და გავარვარებულია. მეხანძრეები სპეციალურ ცეცხლგამძლე ტანსაცმელში მუშაობენ, რომელიც სამუშაო ცვლის ბოლოს უკვე გადასაგდები ხდება.

დიახ, ესენი ნამდვილი გმირები არიან, დასძენს ჟურნალი „შპიგელი" მართალია, ისინი საკუთარი სახლიდან რამდენიმე ათას კილომეტრზე მუშაობენ, მაინც თავიანთი სამშობლოს გადარჩენისთვის იბრძვიან, რადგან დედამიწა ხომ ერთია...

**სურათებზე:** ხანძრის ჩაქრობის მეთოდები და ჩამქრალი ჭაბურღილი.

## მეზადებიან არჩევნებისათვის

**რას** მოელიან პოლონელები 27 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებისაგან? უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემებით, რომელიც მოაწყო საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა, რესპონდენტთა ნახევარზე მეტის აზრით, არჩევნების შედეგად პოლონეთში განმტკიცდება კათოლიკური ეკლესიის პოზიცია და დადგება კომუნიზმთან „საბოლოო გამოთხოვების" დრო. ნაკლებ პოპულარულია მტკიცებანი, რომ არჩევნები იქცევა მხოლოდ და მხოლოდ პოლონელების მიერ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებად (გამოკითხულთა 42 პროცენტი), განამტკიცებს ახლანდელ ხელისუფალთა პოზიციებს (40 პროცენტი) ან გახდება გარდამტეხი მოვლენა, როგორც ეს იყო 1989 წელს არჩევნების შემდეგ (36 პროცენტი). გამოკითხვის ყოველი მეხუთე მონაწილე შიშობს, რომ არჩევნები ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის დაწყებას.

## სან-ფრანცისკოში კონკურენტი არ ჰყავთ

**დემოკრატების** წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის არაოფიციალური დაწყების შემდეგ ამომრჩეველთა სან-ფრანცისკოში მოწყობილმა პირველმა გამოკითხვამ ყველა შეაფიქრიანა თავისი შედეგებით. კალიფორნიელთა უდიდესი უმრავლესობა ამჟამად უპირატესობას ანიჭებს პრეზიდენტ ბუშს დემოკრატიული პარტიისაგან მისი ყველა პოტენციური მეტოქის წინაშე.

როგორც გამოკითხვის მომწყობი კვლევითი ორგანიზაცია „ფილდ ოპინიონ რისერჩი" იუწყება, ბუშის უპირატესობა ნებრასკელ სენატორთან ბობ კერისთან შედარებით შეადგენს 60 პროცენტს 24 პროცენტის წინააღმდეგ, აიოველი სენატორის ტომ ჰარკინთან შედარებით 62 პროცენტს 23 პროცენტის წინააღმდეგ, ვირჯინიის შავკანიან გუბერნატორთან დუგლას უაილდერთან შედარებით — 61 პროცენტს 26 პროცენტის წინააღმდეგ, მასაჩუსეტსისაგან ყოფილ სენატორთან პოლ ტსონგასთან და არკანზასის გუბერნატორთან ბილ კლინტონთან შედარებით — 60 პროცენტს 28 პროცენტის წინააღმდეგ.

## ბრეიდის განმარტება

**ამერიკის** ერთ-ერთმა უდიდესმა საკაბელო ტელევიზიით თი-ბი-ესმა შეიტანა სარჩელი ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ საოლქო სასამართლოში და მოითხოვა გააუქმონ ფინანსთა მინისტრის ნიკოლას ბრეიდის გადაწყვეტილება კუბისათვის მისი პროგრამების ტრანსლაციის თაობაზე შეთანხმების დადების აკრძალვის შესახებ. განაცხადა თი-ბი-ესის ვიცე-პრეზიდენტმა ბერტ კარომამ.

კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ნება დართო თი-ბი-ესს დადოს კუბის მთავრობასთან შეთანხმება ტელეპროგრამების გაცვლის შესახებ, რომელიც, უწინარესად, ითვალისწინებს კუბაში ამერიკის გადაცემის ტრანსლაციის და იქ ამ გადაცემათა მისაღებად საჭირო დამატებითი მოწყობილობის დამონტაჟებას. მაგრამ უკანასკნელ მომენტში ბრეიდიმ აკრძალა ეს გარიგება. მინისტრმა ახსნა ესოდენ მოულოდნელი გადაწყვეტილება და განაცხადა, რომ თუ თი-ბი-ესის ტელეპროგრამებს უჩვენებენ კუბის ოტელებში, ეს ხელს შეუწყობს კუბაში საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას და ამრიგად დაარღვევს ეკონომიკურ ემბარგოს, რომელიც შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყნის წინააღმდეგ შემოიღო.

## ამერიკის ყველაზე მდიდარი მოქალაქე

**ამერიკის შეერთებული შტატების** საქმიან წრეებში ცნობილმა ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა შეერთებული შტატების 400 ყველაზე შეძლებული ადამიანის ყოველწლიური ნუსხა. წლეულს, ისევე როგორც შარშან, მას სათავეში უდგას ჯონ ვერნერ კლუგი, უდიდესი რადიოსატელევიზიო კომპანიის „მეტრომედიის" გამგეობის თავმჯდომარე და პრეზიდენტი, რომლის ქონება, ჟურნალის შეფასებით, 5,9 მილიარდ დოლარს აღწევს. შარშანდელთან შედარებით, მისი შემოსავალი 300 მილიონი დოლარით გაიზარდა.

„მეტრომედია", რომლის შტაბბინა მდებარეობს ნიუ-იორკში, 1955 წელს დაარსდა. თავისი არსებობის მანძილზე იგი გადაიქცა ამერიკის ტელე და რადიომაუწყებლობის ბიზნესის ერთ-ერთ გიგანტად, შთანთქა რა მთელი რიგი კონკურენტები, მათ შორის დოკუმენტური ფილმების წარმოების კომპანია და ტელესადგურები. „მეტრომედია" ფართოდ შეიჭრა სარეკლამო ბაზარზეც, ბეჭდავს და მსაღებს საფოსტო პროდუქციას, აგრეთვე ეწევა შოუ-ბიზნესს.

ამ თავისებურ „რანგების ტაბელში" დიდი ნახტომი გააკეთა პერსონალური კომპიუტერების წარმოების კორპორაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა უილიამ გეიტსმა. მისი ქონება შეფასებულია 4,8 მილიარდ დოლარად. შარშან მას ეკავა მხოლოდ მე-16 ადგილი 2,5 მილიარდი დოლარი მაჩვენებლით.

ეკონომიკაში საერთო დაქვეითების მიუხედავად, წერს „ფორბსი", ამერიკის შეერთებულ შტატებში მდიდართა რიცხვი კვლავ იზრდება, ამ ნუსხაში მოხვედრილი ყველას საერთო ქონების ჟურნალი აფასებს 288 მილიარდ დოლარად.

## რეპლიკა

ძვირფასო მკითხველო, ამ წერილის დაწერა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დღეს სტუდენტების სახელით გამოდის უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტთა ერთი ჯგუფი, რომელიც უპირისპირდება დღევანდელ ხელისუფლებას. ისინი ძალზე პრეტენზიულად აცხადებენ, რომ მათ თავიანთი მხრებით ზიდეს მთელი ტვირთი, რომელიც ახლდა ტრანსკავკასიის მაგისტრალის მშენებლობისა თუ გარეჯის არქიტექტურული კომპლექსიდან სამხედრო პოლიგონის გადატანის საქმეს. ყოფილი პრესკლუბელები, მართალია, საკმაოდ გახმაურებული ახალგაზრდები ბრძანდებიან, მაგრამ მე, როგორც ამ პრობლემებისთვის (და არა მხოლოდ) მებრძოლ სტუდენტთა სხვა ჯგუფის წარმომადგენელი, თავს უფლებას მივცემ, გამოვეხმაურო მათს განცხადებებსა თუ დეკლარაციებს და საკუთარი აზრიც მოგახსენოთ იმ საკითხებზე, რომლებზეც დღეს ერთობ ხმამაღლა გაჰკივის ამჟამინდელი ოპოზიციის მხარეს მდგომი პრესკლუბი. აღნიშნულმა ჯგუფმა, პოლიტიკური უმცირესობის მსგავსად, შექმნა ილუზია, თითქოს ისინი წარმოადგენენ ერის საუკეთესო ნაწილს და ამიტომ უფლებამოსილი არიან უგულებელყონ კიდეც არჩეული მთავრობა და მის ნაცვლად, თვითონ ელაპარაკონ ერს. მათ სამართლიან მოთხოვნას, გამოძიებულიყო და მხილებულიყო 2 სექტემბრის მიტინგის დარბევის ორგანიზატორი, მოჰყვა ერთობ მკაცრი, ჰუმანიტი დემოკრატებისთვის ყოვლად შეუფერებელი მოთხოვნა: გადამდგარიყო პრეზიდენტი, რომელიც მათ არ აურჩევიათ, თუმცა [illegible]

ვერსიტეტი მოსაფრთხილებელი და დასაცავია, პრესკლუბის აქტიური პატრიოტები დუმან.

მე ძალზე შეშფოთებული ვარ უნივერსიტეტის ბედით და ამის გამო მივიჩნიე საჭიროდ, მიმემართა ფართო საზოგადოებრიობისთვის და განმემარტა, რომ ყოფილი პრესკლუბის წევრები არც იმდენად მნიშვნელოვანი ფიგურები ბრძანდებიან, რომ მთ მისდიოს მთელმა სტუდენტობამ. ამისთვის საჭიროდ მიმაჩნია, მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ დაიწყო და რით დაამთავრა ამ ჯგუფმა პატრიოტული კარიერა.

მოგეხსენებათ, 1987 წლის დამდეგს, უფრო ზუსტად, 1986 წლის მიწურულს ფართო საზოგადოებრიობამ შეიტყო, რომ საქართველოს ემუქრებოდა დიდი ეკოლოგიური კატასტროფა, რისი გამომწვევიც გახდებოდა ე. წ. ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა. ამის თაობა-

რცანა; თუ იგი ბრძოლას გამოუცხადებდა მთლიანად ტრანსკავკასიის მაგისტრალის მოწინააღმდეგეებს, იგი ამით ხელს შეუწყობდა საზოგადოებისგან სრულიად იგნორირებული და იზოლირებული დისიდენტებისა და სტუდენტთა ფართო მასების შეკავშირებას. ეს, თავისთავად ცხადია, პარტიულ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა. მას უნდა დაეგეგმა რაღაც ისეთი გზა, რომლის მეშვეობითაც ხელს შეუშლიდნენ მათს კონსოლიდაციას, ამავე დროს, ტრანსკავკასიის მაგისტრალის საქმეს შეაჩერებდნენ დისიდენტთა ვიწრო წრეს, ხოლო სტუდენტობას „გადაარჩენდნენ".

კომუნისტებს „სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ ეს მოახერხეს. დაიწყეს ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტების „დამუშავება" მზაკვრულად, მუხანათურად. ზოგიერთი პარტიული ფუნქციონერი ლექტორის მეშვეობით ნელ-ნელა აბსოლუტურ-

ბ-ნი მ. კოსტავა იქნებოდა ამ საზოგადოების წევრი. ზვიად გამსახურდია კვლავ გარეთ დარჩა. კომუნისტური ხელისუფლების გეგმამ ამჯერად უკვე მეორე დიდ განხეთქილებას ჩაუყარა საფუძველი. მათი მიზანი იყო თვით დისიდენტთა შორისაც ყოფილიყო უთანხმოება.

ზემოაღნიშნულ სტუდენტთა ერთი ნაწილი ესწრებოდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" დამფუძნებელ კრებას, თუმცა მალე ისინი ამ საზოგადოებასაც ჩამოშორდნენ. ამასობაში ოფიციოზი კვლავ აგრძელებდა ცილისწამებებს ბ-ნი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, და საქმე იქამდე მივიდა, რომ დისიდენტთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე მოსკოვში მიმავალი გამსახურდია სუკ-მა მოხსნა მატარებლიდან. სწორედ ამის შემდეგ გამოაცხადა მან უვადო შიმშილობა, რომლის ძირითად მოთხოვნებში შედიოდა ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის

თქვეს, ხელი მოეწერათ წერილზე (იგი მე დავწერე და ხელს აწერდა სულ 47 კაცი), რომელიც ხელისუფლებას სთხოვდა შეესრულებინა მოშიმშილის მოთხოვნები. გარდა ამისა, აღნიშნულმა სტუდენტებმა უარი თქვეს ელემენტარულ ქრისტიანულ თანადგომაზე იმ ადამიანის მიმართ, რომელიც სასიკვდილოდ იყო განწირული (შიმშილობის მე-17 დღეს ბ-ნი ზ. გამსახურდიას ჯანმრთელობა ძლიერ შეირყა და ექიმები დაჟინებით მოითხოვდნენ შეეწყვიტა შიმშილობა, მაგრამ ეს არ მოხდა, სანამ მოშიმშილეს არ მისცეს პირობა, რომ მისი მოთხოვნები დაკმაყოფილდებოდა).

ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენე, რომ საზოგადოებისთვის მეთქვა; თავის დროზე კომუნისტურმა ხელისუფლებამ შესანიშნავად მოახერხა პატრიოტ სტუდენტთა ბაზაზე შეექმნა ახალი ტიპის კონიუნქტურული ახალგაზრდობა. გაზეთში ერთი გვერდის

ვერსიტეტი ცხადდებოდა მშვიდობიან ზონად, ხოლო დღეს, როდესაც იგი შეიარაღებული ბანდების სათარეშოდ ქცეულა, სტუდენტთა სახელით გამოსული არასტუდენტები დუმან, თუმცაღა ვერავინ იტყვის, რომ „დუმილი იგი ოქრო არს რჩეული".

მე მსურს მივმართო პრესკლუბის წევრებს: თუ თქვენთვის მიუღებელია დღევანდელი მთავრობისა და პრეზიდენტის ინტერესები, იქნებ როგორმე გაიზიაროთ ჩვენი და საერთოდ უნივერსიტეტის თაყვანისმცემელთა აზრი და ისევ მაღალი ტრიბუნიდან განუცხადოთ უნივერსიტეტში დაბანაკებულ რაზმებს, დატოვონ ეს წმინდა კერა. ნუთუ თქვენ ძალგიძთ ერთი ადამიანისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გადააყოლოთ ის უნივერსიტეტი, რომლიდანაც იწყებოდა ყოველივე პროგრესული. ვერ დავიჯერებ, რომ კრიზისულ მომენტში მაინც არ გაგიჩნდებათ პროტესტის გრძნობა იმათ მიმართ, ვინც ურცხვად და თავხედურად დათარეშობს ჩვენს წმიდათაწმიდა ტაძარში. ხოლო თუ თქვენში ასეთი გრძნობა არ აღიძვრება, მე, იმ სტუდენტებთან ერთად, რომელთაც თავის დროზე კონიუნქტურას თითქმის ყველასგან მიტოვებული დისიდენტის გვერდში დგომა ამჯობინეს, ვიტოვებ უფლებას, ჩემი სათქმელი ხმამაღლა გამოვხატო. დაე, ამ ხმებში მართალმა გადაფაროს სუსტი და მტყუანი. ჩვენ კვლავ ძველებურ გზებს დავადგებით, თუნდაც ეს გზა უფრო სახიფათო იყოს, რადგან ისეთ დიდ იდეებსა და მოვლენებს, როგორიც სამშობლო და თავისუფლებაა, ვერავითარი პირადი კეთილდღეობა ვერ შეედრება.

# ისმინეთ და გულისხმა ჰყავით!

ზე დაბეჭდა რეპლიკა ბ-ნმა აკაკი ბაქრაძემ, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა (დ. ტურაშვილი, ფ. ჩიხრაძე, თ. ისაკაძე, ლ. ჯაფარიძე, ნ. ბოკუჩავა, ნ. ნიკოლოზიშვილი, ბ. გრიგალაშვილი და სხვანი) დაიწყო აქტიური ბრძოლა ამ დამღუპველი პროექტის წინააღმდეგ. მოგვიანებით მე და ჩემი რამდე- [illegible]

ად დააშორეს ერთმანეთს დისიდენტობა და სტუდენტობა. ხელისუფლებამ დათმო, სულ მალე ოპოზიციონერ სტუდენტებს მისცა საშუალება უნივერსიტეტის გაზეთში ალტერნატიული გვერდის დაარსებისა, პრესკლუბის შექმნისა, რომელიც იდეური ხელმძღვანელის როლი დაეკისრა უნივერსიტეტის ყოფილ პარტკომს ბ-ნ ვახტანგ გოგუაძეს, ამ უკანასკნელის დიდი ძალისხმევით მო- [illegible]

მშენებლობის შეჩერება, ხუდონჰესისა და მინაძეჰესის პროექტების შეწყვეტა, პოლიტპატიმრის ბორის კაკუბავას განთავისუფლება და სხვა. ეს იყო ახლად აღორძინებული ეროვნული მოძრაობის ისტორიაში პირველი დიდი შიმშილობა, რომელმაც ნაყოფი გამოიღო. ხელისუფლებამ მხოლოდ 28-ე დღეს მისცა პირობა ბ-ნ ზ. გამსახურდიას, რომ შესრულდება აღნიშნული მოთხოვნები [illegible]

დაიმობით, პრესტიჟული სამსახურების შეთავაზებით, ზოგიერთი მათგანის მხატვრული ნაწარმოების სისტემატური ბეჭდვით მათ მოახერხეს, რომ ახლად აღმოცენებული პატრიოტული პოტენციალი ექციათ ნეოკომკავშირულ საზოგადოებად, რომლისთვისაც პარტკომ ვ. გოგუაძის პიროვნება უფრო ღირებული და მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე ნაწამები, მარადის მებრძოლი დისიდენტი ზვი- [illegible]

მე ღრმად მწამს, რომ, თუ [illegible]

[illegible]

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას. მაშ, რას მივაწეროთ მათი ერთობ კატეგორიული პრეტენზიები მთავრობის მისამართით, შემდეგ თითქოს სამშვიდობო მისიით გამოსვლა იმის თაობაზე, რომ უნი- [illegible] მოკიდებულება პიროვნებისადმი, რომელსაც შიმშილობის ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტად დასახელებული ჰქონდა საკითხი, რომელიც მათაც აგრერიგად აწუხებდათ. მაგრამ ეს არ მოხდა. მათ უარი [illegible] იც გახასიათებდათ ეროვნულ ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებში.

**მაკო ჯანჯიბუხაშვილი.**
**18 ოქტომბერი, 1991 წელი.**

## რეკლამა

# ვისაც წიგნი უყვარს

### გამომცემლობა „ხელოვნება" აცხადებს ხელმოწერებს:

**1. „ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონის" ექვსტომეულზე.**

ეს არის უნიკალური გამოცემა, რომელიც პირველად გამოდის ქართულ ენაზე და მოიცავს ხელოვნების ყველა ძირითად სტილსა და მიმართულებას ანტიკური ხანიდან დღემდე. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად ეპოქების მიხედვით და დაყოფილია ქვესათაურებად — „არქიტექტურა", „ქანდაკება", „ფერწერა", „მოდა და ავეჯი",.. ტომებში შესულია მსოფლიოს უდიდესი მხატვრების, მოქანდაკეების, ხუროთმოძღვრების ბიოგრაფიები.

ექვსივე ტომი მდიდრულადაა ილუსტრირებული.

**2. „მსოფლიოს რჩეული დრამატურგიის" თხუთმეტტომეულზე.**

გამოცემაში შესულია მსოფლიო დრამატურგიის ყველაზე საუკეთესო ნიმუშები, სხვადასხვა მიმართულების, სტილისა და ჟანრის პიესები ანტიკური ეპოქიდან დღემდე. ბევრი მათგანი პირველად იბეჭდება ქართულ ენაზე. თხუთმეტტომეული საშუალებას მისცემს მკითხველს გაეცნოს სოფოკლეს, ევრიპიდეს, შექსპირის, შილერის, ლოპე დე ვეგას, მოლიერის, ბომარშეს, აგრეთვე ოსკარ უაილდის, შოუს, ბრეხტის, დე ფილიპოს და სხვათა ნაწარმოებებს.

**3. „ანტიკური ხელოვნების ისტორიის" ორტომეულზე.**

წიგნებში მოტანილი მასალა ეყრდნობა უკანასკნელ მეცნიერულ აღმოჩენებს. პოპულარულად არის გადმოცემული ანტიკური პერიოდის არქიტექტურის, ქანდაკების, მხატვრობისა და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების გზები. I წიგნი იწყება ეგეოსური ცივილიზაციის ისტორიით. მასში მოთხრობილია ძველი საბერძნეთის ხელოვნებაზე, II წიგნი ძველი რომის ხელოვნებას ეძღვნება. წიგნს ერთვის ტერმინთა ლექსიკონი, სინქრონული ცხრილი, მოკლე ცნობარი მოქანდაკეთა, მხატვართა და არქიტექტორთა შესახებ.

ორივე ტომი უხვადაა ილუსტრირებული.

სამივე გამოცემაზე ხელმოწერა მიმდინარეობს 1991 წლის 1 ოქტომბრიდან. ხელმოწერების გაფორმება შეიძლება მაღაზია „საუნჯეში" (რუსთაველის პროსპექტი № 28) მაღაზია „მიმოზაში" (რუსთაველის პროსპექტი № 87) სატირმო მაღაზია „შრომაში" (დ. აღმაშენებლის გამზირი № 176).

წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივებს როგორც თბილისიდან ასევე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან და რეგიონებიდან ხელმოწერა შეუძლიათ გააფორმონ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით.

**იჩქარეთ ხელმოწერის გაფორმება, ტირაჟი ლიმიტირებულია!**

**გამომცემლობა „ხელოვნება".**

## თბილისის უნივერსალური ბირჟა

### წარმატება ახალ წარმატებას გვპირდება

ყოველ ოთხშაბათს რეგულარულად ტარდება ვაჭრობა თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე. თქვენ შეგიძლიათ მაქსიმალური მოგებით შეიძინოთ და გაყიდოთ ნებისმიერი საქონელი, ვაჭრობაში მონაწილეობა შეიძლება მხოლოდ თბილისის უნივერსალური ბირჟის საბროკერო ფირმების მეშვეობით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ:
380019 ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118.
საქართველოს სამეცნიერო და კომერციული გამოფენების ეროვნული ცენტრი, პავილიონი № 5, თბილისის უნივერსალური ბირჟა.
ტელ. 35-14-69, 35-44-21.

**თბილისის უნივერსალური ბირჟა — თქვენი იღბალია!**

## ყურადღება!

ისტანბულის ქართველ კათოლიკეთა სავანის მზრუნველის, ბატონ სიმონ ზაზაძის თხოვნით, გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია ეძებს მემკვიდრეებს პატრ პიო ბალიძისა, რომელიც 1912-1921 და 1942-46 წლებში ისტამბულის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღვარი იყო და რომელიც 1956 წელს გარდაიცვალა ისტამბულში.

გთხოვთ, მოაკითხოთ გაზეთ „სამშობლოს" რედაქციას მისამართით: თბილისი, რუსთაველის 42. ტელეფონები: 93-52-49, 93-56-25.

### 9 ან 11 კლასის განათლების მქონეთა საყურადღებოდ!

# თუ გსურთ გახდეთ დიპლომირებული მენეჯერი

მიმართეთ თბილისის მენეჯერთა სასწავლებელს. სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო განათლების და საშუალო განათლების მქონე პირები. სწავლების ხანგრძლივობა შესაბამისად 3 და 2 წელია.

სასწავლო პროცესი წარიმართება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია, აშშ) შემუშავებული და აპრობირებული პროგრამების მიხედვით. სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნება აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა. საუკეთესო მსმენელები გაივლიან სტაჟირებას უცხოეთის ანალოგიურ სასწავლებლებში. საუკეთესო მსმენელებს სამუშაო ადგილით უზრუნველყოფს საზოგადოება „არილი". მსმენელები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სასწავლო კურსს და გამოავლენენ განსაკუთრებულ საქმიან ჩვევებს, დირექციის მიერ დაჯილდოვდებიან საწყისი კაპიტალით საკუთარი კერძო ბიზნესის დასაწყებად.

სასწავლებელში სწავლება ფასიანია. სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. სასწავლებლის 2-წლიანი კურსის დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ დიპლომს, ხოლო 3-წლიანი კურსის დიპლომთან ერთად საშუალო განათლების ატესტატს. მსმენელთა ჩარიცხვა იწარმოებს ტესტირების და გასაუბრების შედეგად. 2 საუკეთესო აბიტურიენტი მიმღები კომისიის გადაწყვეტილებით ჩარიცხული იქნება უფასოდ.

სასწავლებელში სწავლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: 1. განცხადება სასწავლებლის დირექტორის სახელზე; 2. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 3. არასრული (საშუალო) განათლების ატესტატი (დედანი); 4. 4 ცალი ფოტოსურათი 3X4; 5. 70 მანეთი გასაუბრების სამეურნეო ხარჯებისათვის. განცხადებების მიღება იწარმოებს 22 ოქტომბრამდე, 13 საათიდან 18 საათამდე, ყოველდღე.

**მისამართი: ფალიაშვილის ქ. № 42; 57-ე საშუალო სკოლა. ტელეფონი: 22-31-28.**

## თბილისის შემოქმედებითი შეხვედრების ცენტრი

აცხადებს მიღებას მოსამზადებელ კურსებზე სამხატვრო აკადემიაში, ტექნიკუმსა და სასწავლებლებში ჩასაბარებლად, შემდეგ საგნებში:

ფერწერა;
ხატვა;
კომპოზიცია.

მეცადინეობას ატარებენ სამხატვრო აკადემიის მაღალკვალიფიციური პედაგოგები.

სწავლის ვადაა რვა თვე.

მეცადინეობა იწყება 1 ნოემბერს.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ შემდეგი მისამართით: თბილისი, კონსტიტუციის მოედანი, № 1. „სპორტის სასახლე". სამსახურეობრივი შემოსასვლელიდან.

ტელ. 36-21-97, ყოველდღე 10-დან 13 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

**ადმინისტრაცია.**

## გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

თქვენი გაზეთის 15 ოქტომბრის ნომრის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში „ნუველ ობსერვატორი" საქართველოს შესახებ" არასწორად არის გადმოცემული ჩემი პოზიცია, რაც ან მთარგმნელის ბრალია, ან ავტორის, ბატონ გი სიტბონისა. იქ ნათქვამია, რომ ნათაძემაც, სხვათა შორის, „ყურად არ იღო" მისი სიტყვები, რომ არ შეიძლება პრეზიდენტის გადაყენება ძალის გამოყენებით, და მინიშნებულია, რომ „ოპოზიციონერები" აღტაცებული არიან „გვარდიის შეფის" დგომით „მათ მხარეზე". ჩემი პოზიცია აღნიშნულ თემაზე ცნობილია: ჯერ ერთი, — მე ვლაპარაკობ არა პრეზიდენტის გადაყენებაზე (რაც არაკონსტიტუციური მოთხოვნაა), არამედ მის გადადგომაზე (რაც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება, ეს მოწოდებაა და არა მოთხოვნა). მეორეც, შეიარაღებული ძალების დგომა „აქეთა მხარეს" ან „იქითა მხარეს" არ არის და ვერ იქნება ჩემი აზრით, და არცაა დასაშვები, რომ იყოს ვისიმე გადადგომის ან არგადადგომის განმსაზღვრელი ფაქტორი.

ჩემი საუბრის ჩანაწერი ალბათ არსებობს და მისი შემოწმება ადვილია.

**ნ. ნათაძე.**
**15. 10. 1991 წ.**

რედაქციისაგან: იმისდა მიუხედავად, თუ როგორი იქნება ბატონი ნოდარ ნათაძის პირადი შეხედულება შეიარაღებული ძალების „იქითა მხარეს" დგომის თაობაზე, უცვლელი რჩება მარტივი ჭეშმარიტება, რომ **თოფიან კაცებთან, ზარბაზნებთან და ჯავშანტრანსპორტიორთან მდგომი პიროვნების ნებისმიერი მოწოდება ძალადობაა** (თუ ეს მოწოდება ამ შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ არ არის მიმართული).

რაკი ბატონი ნოდარი ესოდენ ოპერატიულად რეაგირებს გაზეთის გუშინწინდელ პუბლიკაციაზე, არც კი ცდილობს დაგმოს ოპოზიციის კავშირი შეიარაღებულ ძალებთან, იგი ფაქტობრივად ადასტურებს ამ კავშირს. ამ ფონზე ბატონ ნ. ნათაძის მხრივ საკუთარი პოზიციის გამოკვეთის მცდელობა არაკონსტიტუციური (გადაყენების მოთხოვნა), თუ კონსტიტუციის არასაწინააღმდეგო (გადადგომის მოწოდება) ქმედების მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, უცნაურ გარჯად მოჩანს.

რაც შეეხება შეცდომას, პუბლიკაციაში იგი მართლაც გაიპარა — კერძოდ, მეოთხე სვეტის მეორე აბზაცში ნაცვლად ფრაზისა „გამსახურდიას არა აქვს ინტელიგენტური პროფილი", უნდა იყოს „გამსახურდიას არა აქვს მაღალი ტოლერანტური პროფილი", რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდით.

## პრემიერების მოლოდინში

ქართულ თეატრალურ ტრადიციებთან შეხამებს ინგლისურ სცენურ კულტურას სპექტაკლი „ანტონიოს და კლეოპატრა", რომელსაც შექსპირის ამავე სახელწოდების ტრაგედიის მიხედვით მარჯანიშვილელთა სცენაზე დგამს ლონდონელი რეჟისორი გუდ ჰილარი.

შარშან მაისში, როგორც ვიცით, მარჯანიშვილელები დიდი წარმატებით გამოვიდნენ გლაზგოში, სადაც ტრადიციულ საერთაშორისო ფესტივალზე უჩვენეს თავიანთი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი — თემურ ჩხეიძის დადგმული შექსპირის „ოტელო". სწორედ მაშინ გაეცნო მარჯანიშვილელთა ხელოვნებას ლონდონის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი რეჟისორი გუდ ჰილარი და გამოთქვა სურვილი ემუშავა ამ დასთან. არჩევანი შეაჩერეს „ანტონიოს და კლეოპატრაზე". და აი, უკვე ამა წლის ივლისში იგი ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო რეპეტიციები. როგორც დამდგმელი აღნიშნავს, ქართველ მსახიობთა სახით მან კარგი მეგობრები და თანამზრახველები შეიძინა.

სპექტაკლში მთავარი გმირების სახეებს ქმნიან ოთარ მეღვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ნოდარ მგალობლიშვილი და თეატრის სხვა მსახიობები.

მხატვარია შოთა გლურჯიძე, მუსიკალური გაფორმება ესეთ-ჩ ცნის კომპოზიტორ გივი გაჩეჩილაძეს.

სპექტაკლის პრემიერა უნდა გაიმართოს ნოემბრის დამლევს.

ამავე დროს მიმდინარეობს მუშაობა „ხაფანგის" დადგმაზე აგათა ქრისტის ამავე სახელწოდების დეტექტივის მიხედვით. სპექტაკლის რეჟისორია მედეა კუჭუხიძე. სპექტაკლში, რომლის პრემიერა ოქტომბრის დამლევს გაიმართება, მაყურებლები შეხვდებიან ზურაბ ბერიკაშვილის, გია ბურჯანაძის, თენგიზ მაისურაძის, თამარ სხირტლაძის, ეკა ჩხეიძის და სხვათა ხელოვნებას.

სცენოგრაფია ეკუთვნის მხატვარ ნინო ჩიტაიშვილს. სპექტაკლისათვის მუსიკა დაწერა გივი გაჩეჩილაძემ.

**საქინფორმი.**

## განცხადება

№ 11 საარჩევნო ბლოკი „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინება" თვითლიკვიდირებულია მასში შემავალი პარტიების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

თვითლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: თბილისი, შევჩენკოს 6. ტელ. 98-83-11.

№ 11 ბლოკში შემავალი პარტიების სახელით:
**კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია (ბ. ყორღანაშვილი), პროგრესულ-დემოკრატიული პარტია (დ. ზოდელავა), შრომის პარტია (დ. საჯაია).**

## გამოსათხოვარი

# ნუგზარ ხაინდრავა



ქართულ სამედიცინო საზოგადოებრიობას გამოაკლდა უნიჭიერესი მეცნიერი, პოპულარული თერაპევტი და ჩინებული პედაგოგი ნუგზარ ხაინდრავა.

დაიბადა 1942 წელს, მარტვილში, პედაგოგების ოჯახში. ინტელიგენტი მშობლებისაგან თან დაჰყვა ხალასი ნიჭი, კოლხური ზრდილობა, გამჭრიახობა და შრომისმოყვარეობა. უკანასკნელის დასტურია ბრწყინვალედ დაცული დისერტაცია და არა ერთი პიონერული გზის გამკვლევი შრომები. მსოფლიოში პირველად მან გამოავლინა კუჭის გლუვი კუნთების კუმშვადი ცილების აქტინის და მიოზინის ხინთუზის დაქვეითება პილორისტენოზით გართულებული წყლულოვანი დაავადების დროს, გელ-ელექტროფორეზის მეთოდით შეისწავლა კუჭის პანკრეასის და წვრილი ნაწლავის ფერმენტების სპექტრი, ნატრიუმის, კალიუმის და კალციუმის ორგანო-სპეციფიკური ატეფაზების აქტივობა. წვრილი ნაწლავის და პანკრეასის წვენში პირველად განსაზღვრა დისაქარიდაზული ფერმენტები, რომლებიც მანამდე მხოლოდ წვრილი ნაწლავის ლორწოვანის კედელში თუ გამოვლინდებოდა. ამით გადაიჭრა მანამდე მიუღწეველი ურთულესი პრობლემა: ალიმენტური ტრაქტის დაზიანების ტოპიკური დიაგნოსტიკა და პათოლოგიური პროცესის ხასიათის (ანთების, წყლულის თუ სიმსივნის) დადგენა. მან თავისი ფუნდამენტური გამოკვლევების მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების გამოქვეყნება მოასწრო თეზისების სახით, რამაც სპეციალისტთა მყისეული დაინტერესება გამოიწვია. ჩვენი ვალია დავაჩქაროთ ნუგზარ ხაინდრავას ორიგინალური შრომების გამოქვეყნება, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, რათა საქართველოს გასტროენტეროლოგიამ არ დაჰკარგოს მთელი რიგი პრიორიტეტები მსოფლიოში.

იგი ხწორუპოვარი პედაგოგი და კლინიცისტი იყო. რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკური საავადმყოფოს გასტროენტეროლოგიურ განყოფილებაში მოხელისთანავე თანამშრომლებმა და ავადმყოფებმა მყისვე იგრძნეს გამორჩეული ცოდნისა და მოსიყვარულე გულის ექიმის გამოჩენა. თანდაყოლილი კაცთმოყვარეობა, გამჭრიახობა და ადამიანის სულის სიღრმეში ჩაწვდომის იშვიათი უნარი მას საშუალებას აძლევდა გულთმისანივით გაეგო ავადმყოფის საწუხარი და მისი სრული ნდობა მოეპოვებინა. იგი მთელ საქართველოში ცნობილი თერაპევტი იყო. ჰარმონიული, გაწონასწორებული ხასიათით მას ავთანდილივით შეეძლო ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლა, ჩვეული მოხერხებულობით გადაეჭრა მრავალი საქმიო და ცხოვრებისეული სიძნელე.

შესანიშნავი სპორტსმენი, კარგი მომღერალი, ჩინებული ოჯახის მამა ქრისტიანული ღვთისმოსაობით ზრდიდა შვილებს, ეროვნული და სოციალური უსამართლობით გულდამძიმებულს არაერთხელ გამოუჩენია მოქალაქეობრივი სიმამაცე.

ნუგზარ ხაინდრავას ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი ახლობლებისა და მეგობრების გულებში.

**საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; სუბორდინატორთა ჰოსპიტალური თერაპიის № 1 კათედრა; რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო; საქართველოს გასტროენტეროლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.**


# გამოიწერეთ გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა

## იგი გამოდის კვირაში ხუთჯერ გამოდა

**მთელი წლით ღირს 26 მანეთი და 76 კაპიკი, ექვსი თვით—13 მანეთი და 38 კაპიკი, სამი თვით—6 მანეთი და 69 კაპიკი, ერთი თვით—2 მანეთი და 23 კაპიკი**

აქვე შეგახსენებთ, რომ ხელმოწერა ორჯერ უფრო იაფი დაგიჯდებათ, რადგან ჯიხურებში გაზეთის ერთი ეგზემპლარი 20 კაპიკი ეღირება.

ჩვენი ინდექსია 66434.



მთავარი რედაქტორი მარიკა აბაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-24; მდივნის რედაქტორი 99-73-24.
[illegible]
ინდექსი 66434